თანამემამულეო!

არ წამოეგოთ ერთი მუჭა ნაციონალების დემაგოგიას!
დღეს, 21 მარტს, ყველამ ერთად ბოიკოტი გამოვუცხადოთ
დამნაშავე რეჟიმის პროვოკაციულ აქციას!

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 მარტი, 2015 წელი.

№53 (7698)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ნაციონალების გაუხმაურებელი ხარჯები

ფანტიაშვილი პრეზიდენტი და ფანტია ნაზირები

4

21 მიზეზი — 2
რატომ არ უნდა წახვიდე ნაციონალების აქციაზე!

ბიძინა ივანიშვილი: ვინც ძალადობდა, ისევ ისინი ძალადობენ, ისინი გამოდიან ქუჩაში

ძირითადი მოძალადეები აკეთებენ დემონსტრაციებს, — ასე უპასუხა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობის მიერ 21 მარტს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას.

ივანიშვილის განმარტებით, სურვილი არა აქვს, ამ საკითხზე კომენტარი გააკეთოს და მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი ძალადობაში დაადანაშაულა.

„როცა სურვილი მაქვს, ვაკეთებ კომენტარს. რატომ ძალადობთ? — ვინც ძალადობდა, ისევ ისინი ძალადობენ. ისინი გამოდიან დღეს ქუჩაში, სადაც თავისუფლად გაივლიან. ეს არის ჩვენი დამსახურება. ძირითადი მოძალადეები აკეთებენ დემონსტრაციებს“, — განუცხადა ივანიშვილმა ჟურნალისტებს.

ბიძინა ივანიშვილი გუშინ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იმყოფებოდა, სადაც სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურის გამარჯვებულები დააჯილდოეს.

შინაურ მღვდელსაც „შევუნდოთ!“ 5



რეკლამისთვის კი არა, სნეულთა გასამხნევებლად და დასაკვალიანებლად...

ნინო გვენეტაძე:
დღეს ნამდვილად ისტორიული დღეა ჩემთვის

უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე მზად არის სასამართლო რეფორმის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

როგორც გვენეტაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, დღეს მისთვის ისტორიული მნიშვნელობის დღეა. **„ჩემი მთავარი ამოცანაა, სასამართლო რეფორმის გაგრძელება, სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის და მიუკერძოებისთვის ბრძოლა, ადამიანის უფლებებზე დამყარებული პრიორიტეტების სამართალწარმოება. ეს მოითხოვს როგორც ჩემი, ასევე სასამართლო კორპუსის დიდ ძალისხმევას. ამ ყველაფერს სჭირდება საკანონმდებლო ორგანოს დიდი მხარდაჭერა და საკანონმდებლო რეფორმა არის საწინდარი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის“.**

პარლამენტმა გუშინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძე აირჩია.

პარლამენტმა მერაბ ტურავა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია

პარლამენტის კვოტით საკონსტიტუციო სასამართლოში არსებულ ვაკანტურ ადგილზე მერაბ ტურავა აირჩიეს. ტურავას 84-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო ერთმა ხმა მის წინააღმდეგ მისცა.

მერაბ ტურავამ საკონსტიტუციო სასამართლოში ვახტანგ გვარამია შეცვალა, რომელსაც უფლებამოსილების ვადა 2013 წლის სექტემბერში ამოეწურა.

ლია სტურუა

„იქ თეატრი არის?“ 6

ნინო მარია-მიშვილის პოეზია

შეუდარებელი „თამადის“ შეუდარებელი „სადღეგრძელო“ 7

ხელშეკრულებას არ აღიარებენ

ჩეხეთის **საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ. ხელშეკრულების ხელმოწერას. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთსა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის ე.წ. ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე განცხადებას ავრცელებს.**

განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს ნაბიჯი არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, ისევე როგორც, რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

ჩეხეთის რესპუბლიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს ურყევ და თანმიმდევრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

* * *

რუმინეთის **საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აღიარებს ე.წ. ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის სოკუპაციო რეჟიმს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“, რომელსაც მოსკოვში მოეწერა ხელი.**

რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ამ ე.წ. ხელშეკრულების ხელმოწერა დამატებით რისკებს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას და იწვევს დესტაბილიზაციას.

რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოში არსებული გაჭინაურებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისადმი, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

* * *

პოლონეთის **საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულების თაობაზე განცხადებას ავრცელებს. მასში ნათქვამია, რომ პოლონეთი არ აღიარებს ამ „ხელშეკრულებას“ და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, არაკანონიერად მიიჩნევს.**

მოვუწოდებთ ჟენევის პროცესის გაგრძელებისკენ, რომლის 31-ე რაუნდი აღნიშნული „ხელშეკრულების“ მოსკოვში ხელმოწერის დღეს გაიმართა, ასევე, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული სხვა საზღვრების დაურღვევლობის პატივისცემისკენ“, — ნათქვამია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

დანიის **საგარეო საქმეთა მინისტრი მარტინ ლიდეგაარდი რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის გაფორმებულ „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს ეხმაურება და აღნიშნავს, რომ რუსეთის ეს ქმედებები საფრთხეს უქმნის სტაბილურობას.**

„ე.წ ხელშეკრულება სტაბილურობისთვის საფრთხეა და ის უხეშად არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს, დანია და ევროკავშირი მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“, — ნათქვამია მარტინ ლიდეგაარდის მიკრო-ბლოგის გვერდზე.

◎ ცბიერი რუსეთი „გვეფერება“

პროვოკაციული და გაუგებარი...

„ოკუპანტთან შეხვედრა დეოკუპაციის თემის გარეშე წარმოუდგენელია“

„რია ნოვოსტის“ ცნობით, რუსეთის პრეზიდენტის პრეს-სპიკერის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, რუსი და ქართველი დიპლომატები არ გამორიცხავენ ორი ქვეყნის პრეზიდენტების — გიორგი მარგველაშვილისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრის შესაძლებლობას.

„როგორც ჩემთვის ცნობილია, ორი ქვეყნის დიპლომატები და ოფიციალური პირები კვლავინდებურად არ გამორიცხავენ მსგავსი შეხვედრის გამართვას განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებით, თუ გრაფიკი ამის საშუალებას მოგვცემს. რუსეთი თავის მეზობლებთან კარგი ურთიერთობის მომხრეა.

რუსეთი ყოველთვის მიიჩნევდა ქართველებს მონათესავე და მეგობარ ხალხად ისტორიულად და ეს გრძნობები, ჩვენ გვჯერა, რომ ახლაც არსებობს და იქნება მომავალშიც. რუსეთი, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია ურთიერთობის ნორმალიზაციით“, — აღნიშნა დიმიტრი პესკოვმა.

ვინ დიპლომატებზე საუბრობდა რუსეთის პრეზიდენტის პრეს-სპიკერი, ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. უწყების პრეს-სპიკერი დავით კერესელიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ორი ქვეყნის პირველი პირების შეხვედრის საკითხი არც აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე არ განხილულა.

„ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვინმე დიპლომატები საუბრობდნენ ამ შეხვედრის შესახებ, ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს. არც ასეთ დიპლომატებს არ ვიცნობთ, არ ვიცით ვინ დიპლომატებზეა საუბარი. ეს არის პესკოვის შემოგდებული თემა. პროვოკაციული და აბსოლუტურად გაუგებარი განცხადება“, — აცხადებს დავით კერესელიძე.

საგარეო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი თენგიზ ფხალაძე ამბობს, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს შეხვედრა დაგეგმილია, სიმართლეს არ შეესაბამება. ფხალაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუკი იქნება შემოთავაზება, მზად არიან შემოთავაზება სერიოზულად განიხილონ.

„საქართველოს პრეზიდენტს ასევე არაერთხელ გამოუთქვამს მზადყოფნა ნებისმიერი მოლაპარაკებისთვის, თუკი ეს მოლაპარაკება რეალურად ისახავს მიზნად იმ უმწვავესი საკითხების გადაჭრას, რომლებიც არსებობს რუსეთის ფედერაციასთან და, რომლებიც რეალურად აწუხებს ჩვენს საზოგადოებას.

დღეისთვის მსგავსი შეხვედრის არანაირი მზადება არ მიმდინარეობს და საქართველო მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ ნებისმიერი მწვავე პრობლემა უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი, მოლაპარაკების გზით. საქართველო მზად არის ნებისმიერ მწვავე პრობლემაზე სასაუბროდ“, — განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით შეხვედრა შეხვედრისთვის მიზანშეუწონელია.

„შინაგანად ყველა გრძნობს, რომ ეს შეხვედრა ვერაფერ სიკეთეს ვერ მოიტანს ჩვენი ქვეყნისთვის. იმ ფონზე, რაც ხდება უკრაინაში, როდესაც რუსეთში ნაციონალისტური განწყობებია, შეხვედრა და რაიმე შედეგის მიღწევა, ეს, ფაქტობრივად, წარმოუდგენლად მიმაჩნია. ოკუპანტთან შეხვედრა დეოკუპაციის თემის გარეშე, წარმოუდგენელია. ასეთი მოლოდინები არ არსებობს, ამ ეტაპზე ამის პერსპექტივა არ არის. მხოლოდ რაღაცა ცალკეული განცხადება, რომ ჩვენ შეხვედრის წინააღმდეგი არ ვართ, ეს არის უბრალოდ სიტყვების გამოყენება და მეტი არაფერი“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირაკლი სესიაშვილი.

მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმების ფონზე, რუსეთისა და საქართველოს უმაღლესი პირების შეხვედრას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ექსპერტი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში კახა გოგოლაშვილი.

„ამ ვითარებაში საერთოდ არ შეიძლება მაღალ დონეზე შეხვედრა რუსეთთან, რადგან ის ნაბიჯები, რომლებიც ბოლო ხანებში გადაიდგა რუსეთის მიერ, ძალიან ცინიკურია და ლახავს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ღირსებას. აქ ვგულისხმობ როგორც აფხაზეთთან, ასევე ცხინვალის რეგიონთან ხელმოწერილ ე.წ. შეთანხმებებს. ამ ვითარებაში რაიმე სახის მაღალი დონის შეხვედრა, მე მგონი, საქართველოს არანაირ სიკეთეს არ მოუტანს“, — აცხადებს კახა გოგოლაშვილი.

თამთა ძარჩავა

◎ SIC!

21 მიზეზი - რატომ არ უნდა წახვიდე ნაციონალების აქციაზე!

„21 მარტს ნაციონალების აქციაზე ის ხალხი უნდა წავიდეს, ვისაც მიხეილ სააკაშვილის მიმართ ნოსტალგია აქვს“, ამის შესახებ დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი ზვიად ტომარაძე აცხადებს.

ტომარაძე 21 მიზეზს ასახელებს, თუ რატომ არ უნდა მივიდეს საზოგადოება ნაციონალების აქციაზე.

1. არაადამიანური წამება ციხეებში და პატიმრების მასობრივი გაუპატიურება.
2. 40 000 პატიმრის ციხეში ყოფნა.
3. 300 000 საქართველოს მოქალაქის პრობაციონერად ყოფნა.
4. სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის და სხვა ახალგაზრდების მსგავსად ჩახოცვა, ხოლო დამნაშავეებზე ხელის დაფარება.
5. 2007 წლის 7 ნოემბრის და 2011 წლის 26 მაისის არაადამიანური დარბევები.
6. დანაშაულის და სასჯელის შეუსაბამობა, შეკრებითობის პრინციპი.
7. ბიზნესის „გადაფორმებები“ და „ვითომ ჩუქებები“ სახელმწიფოსთვის.
8. ფინანსური მონოპოლიები ბიზნესში.
9. სოფლის მეურნეობის გაჩანაგება, ქართული მიწის უცხოელებზე შეუზღუდავად გაყიდვა.
10. ახალგორის და კოდორის ხეობას შეიძლება, კიდევ ახალი ტერიტორიები მიემატოს.
11. ძველი თბილისის იერსახის დამახინჯება.
12. სიონის და საპატრიარქოს შუაში „შანგრილას“ აშენება.
13. ბაგრატის ტაძარში ლიფტის ჩაშენება.
14. პატრიარქის დისკრედიტაციის და ეკლესიის შუაზე გახლეჩის მცდელობა.
15. ტაშ-ფანდურში სახელმწიფო ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვა, მილიონების გადაყრა.
16. უზნეო, აღვირახსნილი და პრეზიდენტისთვის შეუფერებელი ცხოვრება- მოღვაწეობა.
17. ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, ტელეკომპანიების მონოპოლია.
18. ტელევიზიით ფილმების ინგლისური ტიტრებით ყურება.
19. „მოდელირებული ქრონიკები“.
20. 40 წლის ზევით ადამინების სამსახურიდან დათხოვნა.
21. ახალგაზრდა თაობის პატრიოტთა ბანაკებში გარყვნა.

მოამზადა
ალა გრიგალაშვილმა

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● რაც არ უნდა აგინონ ნაცებმა თოფაძეს, „ყაზბეგს“ მაინც ვიყიდი!

● რამდენი ნაციონალიცაა, იმდენი ენჯეო გააკეთეს უკვე — „უფლებადამცველებიც“ თვითონ არიან და უფლებადამრღვევებიც;
მიმხვდურებიც — დამხვდურებიც;
ნაცემებიც — მცემელებიც;
წამების კადრების საყურებლად ბავშვების „წამრეკებიც“, ის „წარეკილი ბავშვებიც“ და იმ წამების ჩამდენებიც.
არაფრისგან ხმაურის ამტეხებიც და მედიით გამშუქებლებიც.
გაღმაც არიან — გამოღმაც, შეხლაც თვითონ არიან და შემოხლაც, მერე ამ შეხლა-შემოხლის ინგლისურად გადამთარგმნელებიც და საერთაშორისო ორგანიზაციებში ოპერატიულად დამგზავნებიც (ბარაქალა მათ დარაზმულობას), მოდელირებულ მოცოცხლებას ატარებენ 21-სთვის, უკვე „სამოქალაქო ომიც“ ახსენეს. ჭკვიანი და ნორმალური, ვიცი, არავინ შეუერთდება მათ ამ იმპოტენტურ ფართხალში, მაგრამ „შეერთებულებიც“ თვითონ იქნებიან და „მიგზავნილი პროვოკატორებიც“ — სრულიად თვითკმარი პარტიაა — და ღმერთმა დაგვიფაროს გვამებისგან, მაგრამ ის გვამები რომ სჭირდებათ მაგათ ბელადებს, მაგ როლსაც სხვას ნუ აჰკიდებენ, ვინმე გულუბრყვილოდ იქ მიჩერჩეტებულს — ეგ ერთადერთი როლია, რომელიც გულში სხვისთვის აქვთ „დათმობილი“ და არა თავისთვის.

ოხ, რა სულელურად ფართხალებთ მთელი თქვენი მოდელირებით, სერიოზულად სალაპარაკოდაც აღარ ღირხართ. ბოროტი თოჯინების თეატრს დაემსგავსეთ.

ორ გვარს დავწერდი აქ, ნუ გამომეხმაურებით-მეთქი, მაგრამ, ჯანდაბას, გამომეხმაურეთ, თქვენღა დარჩით.

● უკრაინის უმაღლესი რადას ყოფილი დეპუტატი ელენა ბონდარენკო სოციალურ ქსელში მიხეილ სააკაშვილის შესახებ წერს:

„უკვე მესმის, რისთვის სჭირდება ჩვენს ქვეყანას სააკაშვილი! ის ყოველი მძიმე დღის შემდეგ, საღამოობით, მინისტრთა კაბინეტს და პრეზიდენტის ადმინისტრაციას ასწავლის, თუ როგორ ღეჭონ ჰალსტუხი“, — წერს ბონდარენკო.

● აეგრე, ამოაცხეს ჭიტლაყი შსს-დან ნაციონალების ნასედკებს. ყველა სტრუქტურა უნდა გაწმინდოს ამ ხარახურებისგან, თორე როდის სად დაგიდებენ ფეხს კაცმა არ იცის.

● 21 მარტს,
შაბათს,
16 საათზე,
ყველანი,
ყველანი,
ყველანი
ტელევიზორებთან!
ნახევარ საათში დაიწყება მატჩი რაგბიში: რუმინეთი — საქართველო!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ შესადარებლად

რატომ არ იყო უნიათო წინა ხელისუფლება და რატომ არის დღევანდელი?

ანუ „პირიქით, ასინეთა, პირიქით!“

უნიათო – ამოიჩემეს ეს სიტყვა ნაც(იონალ)ებმა და თუთიყუშებივით იმეორებენ.

ეს „ტექნოლოგია“ კარგად აქვთ ათვისებული, იციან, რომ ხშირ-ხშირად უნდა გაიმეორონ, რათა ხალხის გონება უკეთ დაიპყრონ.

მასის ფსიქოლოგია იციან, ოღონდ, იმას კი ვეღარ ითვალისწინებენ, რომ ქართველი ხალხი კარგა ხანია, მასა აღარ არის.

მასა რომ ყოფილიყო, ისევ ხელისუფლებაში იქნებოდნენ.

მაინც უტიფრად ლაპარაკობენ ხალხის სახელით, თითქოს გული მართლა შესტკიოდეთ ადამიანებზე, რომელთაც ცხრა წლის განმავლობაში დასცინოდნენ, არბევდნენ, იჭერდნენ, ღირსებას ულახავდნენ...

არაფრის რცხვენიათ, შეუძლიათ, ახლანდელ მთავრობას ავეჯის ფული დაუთვალონ, თითქოს არ ახსოვდეთ, რომ მათი მამა-მარჩენალი სააკაშვილი ამდენ თანხას ერთ სასტუმროში ტოვებდა, ხოლო მასაჟისტს არც ეყოფოდა(?!)...

ნაც(იონალ)ების უტიფრობაზე სიტყვის გაგრძელება არც ღირს, აჯობებს, სტატიის სათაურის შესაბამისად ვიმოქმედოთ. ყოველივე თვალსაჩინო რომ იყოს, ერთ მხარეს ნაც(იონალ)თა სიყოჩაღენი ჩამოვწეროთ, მეორე მხარეს კი „ქართული ოცნების“ უნიათობანი.

მაშ, ასე –

ნაც(იონალ)ური მთავრობა არ იყო უნიათო, რადგან:

არბევდა მიტინგებს;

არბევდა და ხურავდა სატელევიზიო არხებს(„იბერია“, „იმედი“...);

შენობიდან აძევებდა და ხურავდა გაზეთებს(„ლიტერატურული საქართველო“, „შანსი“, „თბილისი“...);

შიშის ზარს სცემდა და ქონებას ართმევდა ბიზნესმენებს;

ქუჩაში ხოცავდა ახალგაზრდებს(რობაქიძე, გირგვლიანი...);

ბომბებს უშენდა აფრასიძეების სახლს, სადაც მცირეწლოვან ბავშვებს ეძინათ;

„ებრძოდა“ რუსეთს და სტრატეგიულ ობიექტებს უშურველად უთმობდა;

„ებრძოდა“ რუსეთს და კიდევ უფრო ამცრობდა მამულს...

„ქართული ოცნება“ უნიათოა, რადგან:

არ არბევს ნაც(იონალ)თა მიტინგებს;

არ ხურავს სატელევიზიო არხებსა და ჟურნალ - გაზეთებს;

არ იჭერს ბარამიძეს;

არ იჭერს თარგამაძეს;

არ იჭერს...

არ იჭერს...

არ იჭერს...

არ ატერორებს და ქონებას არ ართმევს ბიზნესმენებს;

რაც შეეხება დაპირებებს:

სააკაშვილი ასრულებდა იმას, რასაც არ გვპირდებოდა (მიტინგების დარბევა, ტერიტორიების დაკარგვა და სხვა.), ახლანდელ მთავრობას უჭირს იმის ბოლომდე შესრულება, რასაც გვპირდებოდა. ოღონდ, ეს გულწრფელი დაპირებები იყო და არა ხალხის მოტყუება. ივანიშვილსა და მის გუნდს გულწრფელად სჯეროდა , რომ ყველა დაპირების შესრულება რეალურად იყო შესაძლებელი. ეს პოლიტიკური გამოუცდელობით განპირობებული შეცდომა იყო და არა შეგნებული ტყუილი.

პოლიტიკაში(ც) შეცდომა ყველას ეპატიება, ტყუილი - არავის.

წინა ხელისუფლება დანაშაულს ჩადიოდა, ახლანდელი შეცდომებს უშვებს.



დანაშაულს და შეცდომას კი ,,შუა უზის დიდი ზღვარი“...

აწ უკვე ხალხმა (და არა მასამ) განსაჯოს, რომელი ხელისუფლებაა უკეთესი.

თავად კი, რატომღაც, „დათა თუთაშხია“ მახსენდება: „პირიქით, ასინეთა, პირიქით“...

იოსებ ჟუმბურიძე

◎ SIC!

გაიგეთ ნაცებო, თქვენი დრო ამოწურულია!

ხუთიოდე დღეა, ჩვენი პატივცემული საზოგადოების ერთი ნაწილი სერიოზულად არის აღშფოთებული, დაახლოებით ისე, საქართველოს „მეგობრებს“ რომ დაემართათ 2008 წლის ომის მერე... პრესისა თუ ტელევიზიის მეშვეობით ანთხევენ ამ აღშფოთებას და ძალიან სერიოზული სახეებით გვმოძღვრავენ: – ეს რა გააკეთეთ, როგორ შეიძლება, ახალგაზრდებს ღუპავთო. ღმერთო ჩემო! ასეთი რა ავი საქმე ჩაიდინეს, რომ ეს პატივცემული გვამები ასე განრისხდნენ? ბევრი არაფერი ბატონებო, უბრალოდ, ზუგდიდში ახალგაზრდებს აჩვენეს ჩვენი ნაციონალი მთავრობისდროინდელი „კაიკაცობის“ მაგალითები.

ახლა არ იკითხავთ ამ აღშფოთებულთა ვინაობას? თქვენ წარმოიდგინეთ, ზუსტადის ხალხია, ვისი ერთი ნაწილიც 9 წლის მანძილზე ამ „შემოქმედებას“ ტაშს უკრავდა, მეორე კი ამ სამარცხვინო „სპექტაკლების“ დადგმით იყო დაკავებული. რა უცნაურია, მაშინ არ ფიქრობდით ამ ახალგაზრდებზე, მშობლებს რომ უპატიმრებდით, ქონებას ართმევდით და ნამუსს ხდიდით? ძალიან ვცდილობ ჟურნალისტური ეთიკა დავიცვა და ზრდილობის ფარგლებს არ გავცდე, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ძალიან მიჭირს, რადგან ამ ფარისეველთა ბრბოსგან განსხვავებით ერთსაც ვიცავ და მეორეც გამაჩნია. პასუხად კი სოციალურ ქსელში საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის გავრცელებულ სტატუსს გამოვიყენებ (იმედია, ქალბატონი სალომე არ მიწყენს):

„ფარისევლობა დაგვლუპავს!

ბოლო-ბოლო, არ ვიცი, ვის რა კადრები აჩვენეს, მაგრამ რომც ეჩვენებინათ „ის“ ციხის კადრები, ამაში ტრაგიკულს და ბოდიშის მოსახდელ მიზეზს ხელისუფლების მხრიდან ვერ ვხედავ... გაგახსენებთ, რომ ევროპის სკოლებიდან ჩაჰყავთ ბავშვები აუშვიცის, ბუხენვალდის, რავენსბრუკის და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში და არა მხოლოდ ათვალიერებენ მათ, არამედ ფოტო მასალას და ფილმებს ეცნობიან სწორედ იმისთვის, რომ მეხსიერებაში ჩაიბეჭდოს... იგივე ხდება, როცა ტურისტად ჩადიხარ ისრაელში, დიდი და პატარა აუცილებლად უნდა მიგიყვანონ „იად ვაშემის“ მემორიალთან და იქ მოთავსებულ უმძიმეს გამოფენას გათვალიერებინებენ!.. ან კიდევ სომხეთში ჩასული, როცა გენოციდის მუზეუმს ეწვევა ადამიანი...

ეს არის დღევანდელი მსოფლიო, სადაც არც ბავშვებს არ უფრთხილდებიან! თუკი გვესმის, რა ხდება სირიაში... ამიტომ ყველა უცხოეთის ტელევიზიები ხშირად იმეორებენ იმ ძალიან მძიმე კადრებს ამ ტრაგედიების ამსახველს სწორედ იმისთვის, რომ ახალგაზრდებს არ დაავიწყდეთ ბარბაროსობა და მასთან ბრძოლის აუცილებლობა... ჩვენ რა ნაზები და რა მორალისტები გავხდით უცებ, რომ გვირჩევნია, ემოცია არ გამოიწვიოს ბავშვში, ავაცილოთ მას ეს განცდები და ავარიდოთ საერთოდ ჩვენი ქვეყნის რეალობას... როცა სულ ორიოდე წლის წინათ თვითონ შეიძლებოდა კადრების მაყურებელი კი არა, მსხვერპლიც გამხდარიყო ან თვითონ, ან მამა თუ ძმა...“ – წერს სალომე ზურაბიშვილი.

ამ ფოტოზეც სწორედ ძველი კადრებია აღბეჭდილი, რომლის ანალოგის მცდელობაც ოცნებად ჰქონდათ სააკაშვილის გებელსებს და ბევრიც არაფერი დაუკლიათ, ამ დღეში რომ ჩაეგდოთ ქვეყანა!

თამაზ ჩიქვანაია.

P. S. **თაობის** გარყვნასა და დეგრადირებას ვიღა რად დაგიდევს. მთავარია, ყველაფერი სხვას გადააბრალო და... არადა, რეალური კრიმინალები გვიკითხავენ მორალს, ცხრა წლის განმავლობაში სულის ამოხდით რომ გვემუქრებოდნენ!

გეყოთ, ბატონებო! თქვენი დრო ამოწურულია!

თ. ჩ.

◎ ნაციონალების გაუხმაურებელი ხარჯები

ფანტიაშვილი პრეზიდენტი და ფანტია ნაზირები

ძვირადღირებული სასტუმროები, საგანგებოდ მოწვეული ესპანელი მზარეული...

2013 წლის განმავლობაში საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ძვეყნის ფარგლებს გარეთ 41 ვიზიტით იმყოფებოდა.

სააკაშვილის რამდენიმე ყველაზე ძვირადღირებული ვიზიტის შესახებ ინფორმაცია IDFI-მ გამოითხოვა.

IDFI-ის ინფორმაციით, **2013 წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი 112 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა მივლინებაში, საიდანაც დღიური ნორმა აღებული აქვს 106 დღისთვის – სულ დაახლოებით 87 500 დოლარი.**

„აღნიშნული თანხიდან **მხოლოდ 5300 დოლარი შეადგენს განსაზღვრულ ნორმას** კონკრეტული ქვეყნის შესაბამისად, ხოლო დანარჩენი, **დაახლოებით 82 200 დოლარი** ყოფილმა პრეზიდენტმა აიღო **სადღეღამისო ნორმის დანამატის სახით.** როგორც მოყვანილი მონაცემებით ჩანს, მივლინებების განმავლობაში სადღეღამისო ნორმის დანამატი არცთუ ისე მცირე თანხას შეადგენს. მიუხედავად ამისა, სადღეღამისო ხარჯი არ იბეგრება და ასევე არ აისახება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში. აქვე **გასათვალისწინებელია, რომ მივლინებების დროს გამოყოფილი სადღეღამისო ხარჯი დარიცხვის ნაცვლად გაიცემა ხელზე.** ყოველივე აღნიშნული კითხვებს აჩენს ერთი მხრივ სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტიანი და მიზანმიმართული განკარგვის, ხოლო მეორე მხრივ, თანამდებობის პირების შემოსავლების გამჭვირვალობის კუთხით“, – ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში.

ამასთან, IDFI განმარტავს, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №14/09/10 განკარგულების თანახმად, **საქართველოს პრეზიდენტის სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვრა 900 აშშ დოლარის ეკვივალენტი შესაბამისი ვალუტით.**

რაც შეეხება პრეზიდენტის სასტუმროს ხარჯებს, IDFI-ის ინფორმაციით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არა იმდენად თავად ნომრების საფასური, რამდენადაც გაუთვალისწინებელი ხარჯების დიდი ოდენობა.

2013 წლის განმავლობაში **მიხეილ სააკაშვილის ვიზიტების ფარგლებში სასტუმროსთვის გადახდილმა თანხებმა ჯამში დაახლოებით 362 000 დოლარი შეადგინა.** მათ შორის ყველაზე დიდი ოდენობის თანხა, დაახლოებით **43 300 დოლარი, სახელმწიფო ბიუჯეტს პრეზიდენტის ცხრადღიანი ვიზიტი დაუჯდა აშშ-ში.**

აშშ-ში ვიზიტის განმავლობაში ყველაზე ძვირადღირებული ნომერი, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გაჩერდა, იყო **სასტუმრო Peninsula New York**-ში, სადაც მიხეილ სააკაშვილმა **ერთ ღამეში 3500 დოლარი გადაიხადა. სულ 2013 წლის 28 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით სასტუმროში გადახდილია 10 500 დოლარი.** აღნიშნულ თანხაში შედის ორი ღამის საფასური (2 X 3500 დოლარი) და

ნომრიდან დაგვიანებით გამოსვლის საფასური (3500 დოლარი).

როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, აშშ-ში ყოფნისას მიხეილ სააკაშვილი მეორედაც გაჩერდა იმავე სასტუმროში, 2013 წლის 2 მაისს, და **ერთ ნომერში გადაიხადა 950 დოლარი. ამას გარდა Peninsula New York-ში ჯამში 2521 დოლარი იქნა გადახდილი – გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის.** სულ სასტუმროში ორი გაჩერებისას, **28-30 აპრილსა და 2-3 მაისს, პრეზიდენტმა 15 721 დოლარი გადაიხადა.**

მთლიანობაში, აშშ-ში 9-დღიანი ვიზიტის განმავლობაში **პრეზიდენტის მიერ მხოლოდ სასტუმროს ნომრებში გადახდილი თანხა 950 დოლარიდან 3500 დოლარამდე მერყეობს, ხოლო საშუალო თანხა დაახლოებით 2400 დოლარია.** შესაბამისად, **10 ღამისთვის სასტუმროს ხარჯები მაქსიმუმ 23 500 დოლარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ნომრიდან გვიან გასვლის საფასურისა და სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების დიდი რაოდენობის გამო, მთლიანობაში გადახდილია 43 804 დოლარი – თითქმის ორჯერ მეტი.**

2013 წლის მანძილზე მიხეილ სააკაშვილი ხუთჯერ იმყოფებოდა ვიზიტით არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში. IDFI-იმ გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია ორი ყველაზე ძვირადღირებული ვიზიტის შესახებ, რომლებიც 26-27 მაისსა და 20-24 ივლისს შედგა. აღნიშნული ვიზიტებისას ქვეყნის ყოფილი პირველი პირი სასტუმრო “One and Only Royal Mirage Jumeira Beach”-ში გაჩერდა.

2013 წლის 26-27 მაისის ვიზიტი დუბაიში სახელმწიფო ბიუჯეტს სულ დაახლოებით 33 000 დოლარი დაუჯდა. ორი ღამის საფასურმა „One and Only Royal Mirage Jumeira Beach“-ში 7 000-მდე დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება დუბაიში **2013 წლის ივლისის ვიზიტს, მისმა მთლიანმა ხარჯმა დაახლოებით 25 000 დოლარი შეადგინა, საიდანაც სასტუმროს ხარჯები დაახლოებით 12 500 დოლარი იყო. აღნიშნულ თანხაში 2 ღამის საფასურის გარდა შედის 4 000 დოლარი გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის და 2 800 დოლარი ნომრიდან გვიან გამოსვლისთვის.**

დუბაიში ვიზიტის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ერთი კვირით გაემგზავრა სინგაპურში, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 41 000 დოლარი გამოიყო.

სინგაპურში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილი ორ სხვადასხვა სასტუმროში გაჩერდა – „Marina Bay Sands Singapore“-სა და „Mandarin Oriental Singapore“-ში. **სულ სინგაპურში ყოფნისას სასტუმროში განთავსება დაახლოებით 21 300 დოლარი დაჯდა.**

აღსანიშნავია, რომ **2013 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები 128-ჯერ იმყოფებოდნენ მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სულ ოფიციალურ ვიზიტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 857 452 ლარი დაიხარჯა. ამ თანხის 82% – 1 533 222 ლარი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტებზე მოდის.**

გასაჯაროვდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (სდსს) ხარჯები, რომლებსაც მანამდე გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“ ედო. **დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბიუჯეტს სააკაშვილის ესპანელი მზარეულის შენახვა ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა; ბიუჯეტის ფულით, 115 ათას ლარად, პრეზიდენტმა და გიგი უგულავამ გასახდომი პროცედურები ავსტრიაში ჩაიტარეს, დუბაიში ნაციონალთა საახალწლო ქეიფი კი გადასახადის გადამხდელებს 240 ათასი ლარი დაუჯდათ.**

ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა პრეზიდენტის ოჯახის სხვადასხვა ხარჯი, მათ შორის ედუარდ სააკაშვილის სწავლის გადასახადი და ნიკოლოზ სააკაშვილისთვის ჩოხის შეკერვა. მსხვილი თანხები იხარჯებოდა პრეზიდენტის სტუმრების მასპინძლობისთვის. გავრცელებული დოკუმენტები „წვრილ-წვრილ ამბებსაც მოიცავს: **2011 წლის აპრილში „ვინმე იუშჩენკო“ თბილისის აბანოს ბიუჯეტის ხარჯით ესტუმრა (თუმცა უკრაინელების განცხადებით, ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი მაშინ თბილისში არ იმყოფებოდა); დეპუტატ თინა ბოკუჩავას ბიუჯეტის ფულით 1 599-ლარიანი მობილური უყიდეს, მარიამ საჯაიას – 3 500-ლარიანი სამკაული. სამკაულები მიიღეს რუსმა ჟურნალისტმა ქსენია სოკოლოვამ და მომღერალმა ივანა მელაიმაც – ერთმა 2 765-ლარიანი, მეორემ კი 982-ლარიანი.**

2013 წელს, თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ქავთარაძემ გაასაჯაროვა ინფორმაცია, რომელის თანახმადაც, კომისიამ მერიის ადმინისტრაციის საქმიანობის შესწავლისას სერიოზული დარღვევები გამოავლინა. კერძოდ, **2013 წლის მარტში გიგი უგულავას სატელეფონო ხარჯმა 38 ათასი ლარი შეადგინა; უგულავამ 2013 წლის 14 მაისის განკარგულებით, თავის თავს დაუნიშნა ყოველთვიურად დანამატი 4 320 ლარი, 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისამდე შრომის ანაზღაურებაზე მერიის მიერ დახარჯულია 14 552 873 ლარი, აქედან ხელფასებზე – 4 284 610 ლარი, თანამდებობრივ სარგოზე – 1 507 132 ლარი, ხოლო პრემიებზე – 8 761 131 ლარი.**

მისი ცნობით, მერიამ ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის გამართულ ფურშეტებსა და ღონისძიებებზე 480 000 ლარი დახარჯა. ქავთარაძის ინფორმაციით, **აუქციონის წესით გასხვისებული ქონებიდან მიღებული თანხა ნაცმოძრაობას ხმარდებოდა.**

◎ აიწონა-დაიწონა

მაინც რა ხდება იქ, „დახურულ დარაბებს“ მიღმა?

შარშან წლის მიწურულს დაწყებული ლარის გაუფასურება, ამ უაღრესად უარყოფითი მოვლენის გამომწვევი მიზეზები, მდგომარეობიდან გამოსვლის გზები და ვადები, მრავალი სხვა ასპექტი, როგორც ჩანს, კიდევ დიდი ხნის მანძილზე იქნება ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. დოლარის მიმართ ლარის ბოლოდროინდელი ვარდნის მიზეზთა შორის, რომელთა შესახებ არაერთგზის გვქონია ლაპარაკი, ხშირად ეროვნული ბანკის, კერძოდ კი მისი ამჟამინდელი თავკაცის გიორგი ქადაგიძის პოზიციასაც ასახელებენ, რომლის მოქმედებები, შარშან წლის მიწურულიდან მოყოლებული სავალუტო ბაზარზე ამტყდარი აჟიოტაჟის, მეწარმეებსა და, ზოგადად, მოსახლეობაში აღზევებული ვნებათაღელვის, ერთგვარი პანიკისაც კი, ჩასაცხრობად მიღებული ზომები აშკარად არასაკმარისი, თანაც ერთობ დაგვიანებული გამოდგა. ამასთან, ბევრი ექსპერტი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მეტად კრიტიკულადაა განწყობილი საქართველოში ვალუტით ვაჭრობის დადგენილ წესებთან დაკავშირებით, რომლებიც, მათი აზრით, გარკვეულ დაინტერესებულ პირებს ანგარებიანი მოქმედების შესაძლებლობას აძლევს.

ქვეყანაში უცხოური ვალუტით ვაჭრობის დადგენილ წესებს თვალს თუ გადავავლებთ, ლარის კურსი თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დგინდება, ხოლო ვაჭრობის მონაწილე სუბიექტები ერთნაირ პირობებში იმყოფებიან, ამდენად საკუთარი კონკურენტუნარიანობა ისევ მათზეა დამოკიდებული. ამავე დროს, მრავალი ექსპერტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **ვალუტის ბაზრის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი დაჯამებულად აქვეყნებს – ამა და ამ დღეს ბანკთაშორის სავალუტო ვაჭრობაზე მთლიანად გაიყიდა ამა და ამ ოდენობის ვალუტა, ცალკეულ მონაწილეთა მოთხოვნები კი გასაიდუმლოებულად რჩება.**

არადა, დოლარის მცურავი კურსის პირობებში, მასთან ლარის „დამოკიდებულების“ ცვლილებათა ზუსტად დასადგენად, ანალიზისთვის მეტი ინფორმაციაა საჭირო. ლაპარაკი, კერძოდ, იმაზეა, თუ კონკრეტულად რომელი კომბანკი როდის რამდენის ყიდვას აპირებდა და რეალურად რამდენი შეიძინა. ამის ცოდნა ექსპერტებს ვალუტის იმის გარკვევის შესაძლებლობას მისცემს, ლარის გამყარება-დასუსტება უფრო რომელი მოთამაშის ზეგავლენის შედეგია.

ამის გარდა, ექსპერტთა კრიტიკის კიდევ ერთი გარემოებაა სავალუტო ბაზარზე ვაჭრობებში მონაწილეობის მიღებაზე არსებული შეზღუდვა, ანუ ნებისმიერ მსურველთათვის მასზე თავისუფლად წვდომის შეუძლებლობაა. სადღეისოდ, საქართველოს სავალუტო ვაჭრობების ბაზარზე მოქმედი სისტემის შესაბამისად, როგორც ავღნიშნეთ, **ვალუტის კურსი ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დგინდება,** რომლის ოპერაციებში მონაწილეობის უფლება არც სხვა კომერციულ სტრუქტურებს თუ ფიზიკურ პირებს არა აქვთ. არადა, მსოფლიოში დაკანონებული თავისუფალი ბაზრის პრინციპები სწორედ რომ ნებისმიერი კანონით ნებადართული საქონლით (რომელსაც, არსებითად, ფულიც წარმოადგენს!) თავისუფალი ვაჭრობის უფლება და, შესაბამისად, შესაძლებლობა, ყველას უნდა ჰქონდეს და აკი აქვს კიდეც. მაგრამ ჩვენში ეს ფუძემდებლური მიდგომა, სრულიად გაურკვეველ მიზეზთა გამო, უგულებელყოფილია, ბაზრის „შეუვალობა“ კი, საერთო შეფასებით, მის გარკვეულ მოთამაშეებს სპეკულაციური მოქმედებების ცთუნებაში აგდებს, რა შესაძლებლობასაც, ხშირად იყენებენ კიდეც, **რადგან კომერციულ ბანკებს ქვეყნის ეროვნული ბანკის რეზერვების გამოყენებით ხელის გვარიანად მოთბობა შეუძლიათ. ეს გარემოება კიდევ ერთ, უაღრესად სახიფათო კოლიზიას იმ მხრივ ჰქმნის, რომ დოლარის სპეკულაციური კურსი დიდ, წარმატებულ კომპანიებსაც საგრძნობლად აზარალებს და იმ მარტივი მიზეზით, რომ ვალუტა მათ, როგორც წესი, დიდი ოდენობით სჭირდებათ ხოლმე, რის გამო ისინი ჩვეულებრივი მოქალაქისაგან განსხვავებით, გადამცვლელ პუნქტში ვერ იძენენ, ამიტომაც მას კომბანკებისგან ყიდულობენ.**

◎ თემა მკითხველმა გვიკარნახა

შინაურ მღვდელსაც „შევუნდოთ!“

რეკლამისთვის კი არა, სნეულთა გასამხნევებლად და დასაკვალიანებლად...

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა

„კლინიკა, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!“ — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 2012 წლის 11 თებერვლის ნომერში ჩემი სტატია, რომელიც უთანამედროვესი აპარატურით აღჭურვილ და საუცხოო კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, ხალხი უფრო მეტად თოდუას კლინიკად რომ მოიხსენიებს, ახალი, 640-შრიანი მართლაც ფანტასტიკური კომპიუტერული ტომოგრაფის ამოქმედებას მიეძღვნა...

ეს სტატია ჩემს არქივში ქალბატონ გულნარა ტაბიძის სამადლობელო წერილმა მომაძებნინა. იგი ამას წინათ რედაქციაში გვეწვია და გვთხოვა, მისი აზრი და პოზიცია ჩვენი მკითხველისთვის გაგვეცნო. ვასრულებთ მის თხოვნას:

„შუა ზაფხულში თავზე თოვლის დაცემასავით მოულოდნელი იყო ჩემთვის ის დიაგნოზი და იმით მოგვრილი საშინელი ელდა, ბატონ ფრიდონ თოდუას კლინიკაში რომ დამისვეს...

მუცლის ღრუში ყრუ ტკივილით მივედი ერთ-ერთ კლინიკაში (მისი დასახელებისგან თავს შევიკავებ). იქ გაკეთებულმა ექოსკოპიამ რაიმე განსაკუთრებული პათოლოგიური ცვლილება ვერ დამიდგინა. თერაპევტმაც გამსინჯა, წამლები გამომიწერა, მერე გასტროენტეროლოგის წამლებიც ვსვი. ტკივილი კი, დაკლების ნაცვლად, უფრო გამიძლიერდა.

ამიტომ იანვარში თოდუას კლინიკაში მივედი, სადაც გაკეთებულმა ექოსკოპიამ პათოლოგია უმალ აღმოაჩინა, რასაც კოლონოსკოპია მოჰყვა, მერე კომპიუტერული ტომოგრამა და... დაზუსტებული საშინელი დიაგნოზი — ავთვისებიანი სიმსივნე.

იქვე შემომთავაზეს მკურნალობის ოპერატიულად დაწყება, მაგრამ შინაურებმა შემიკლეს ხელში — **აქ რა იციან, წავიდეთ საზღვარგარეთ, კერძოდ, ისრაელში, სადაც საუკეთესო აპარატურაა, სპეციალისტებიც მაგრები არიან და მკურნალობის მეთოდიკაც საუცხოო აქვთ, აი, ნახავ, აქაური დიაგნოზი იქ შეიძლება არც დადასტურდესო.**

მათი თქმა და ქმნაც ერთი იყო — ფულიც ოპერატიულად შემიგროვეს და ჩავედით თელ-ავივის საუკეთესო კლინიკა „ასუტაში“, სადაც გამსინჯეს, ხელახლა ჩამიტარეს გამოკვლევები და... ჩემდა, სამწუხაროდ, საქართველოში დასმული დიაგნოზი სავსებით დადასტურდა.

„ასუტაში“ და, ზოგადად, ისრაელში დიაგნოსტიკა-მკურნალობის მართლაც საუცხოო შესაძლებლობებია, მაგრამ იქ, ჯერ ერთი, ჩვენთან შედარებით, საოცარი სიძვირეა, რის გამოც იმ ქვეყანაში მკურნალობას ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობის უმეტესობა ვერ შეძლებს, და, მეორეც: მე ახლა თოდუას კლინიკაში ვმკურნალობ. **თანაც ზუსტად იმ მეთოდიკით და პრეპარატებით, რაც იმ კლინიკაში ისრაელში წასვლამდე შემომთავაზეს, და რაც მერე „ასუტაშიც“ დამინიშნეს.**

მერწმუნეთ, ამას თოდუას კლინიკის რეკლამირებისთვის კი არ ვამბობ, არამედ მხოლოდ და სწორედ ჩვენი ხელმოკლე სნეული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გასამხნევებლად და დასაკვალიანებლად — მართალია, ადამიანმა საკუთარი ჯანმრთელობისთვის არაფერი არ უნდა დაიშუროს, მაგრამ სახსრები თუ არა აქვს? **ამიტომ ჩემი რჩევაა, ნუ დაიდებენ ვალებს უცხოეთში დაავადების გამოსაკვლევად თუ სამკურნალოდ წასასვლელად, და ერთი ანდაზის საწინააღმდეგოდ — შინაურ მღვდელს შენდობა არა აძვსო, მიენდონ და „შეუნდონ“ შინაურ „მღვდელს“, ამ შემთხვევაში თოდუას კლინიკას.** შედეგი დადებითიც იქნება და ფინანსურადაც ხელმისაწვდომი იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების წყალობით საყოველთაო დაზღვევა უზარმაზარი შვებაა ხალხისთვის.

პატივცემულო რედაქცია, მადლობელი ვიქნები, თუ წერილს გამომიქვეყნებთ, იქნებ ჩემი გამოცდილებით ბევრმა შეჭირვებულმა იგრძნოს შვება“.

რედაქცია ასრულებს ქალბატონ გულნარას თხოვნას და უკომენტაროდ ბეჭდავს მის წერილს.

ჩემი მხრივ კი, სავსებით ვეთანხმები რა მას, ერთსლა დავსძენ, უფრო სწორად მოვიყვან ბოლო აბზაცს ჩემი ზემოაღნიშნული სტატიისა:

„კარგია, როდესაც ქვეყანაში ასეთი დონის სადიაგნოსტიკო-სამკურნალო კლინიკა არსებობს, რომელსაც, ღმერთმა დაგვიფაროს და, გაჭირვების ჟამს იმედით და იმის რწმენით მიაკითხავ, რომ იქ შენს სატკივარს უთუოდ უწამლებენ.

არავითარ ეპითეტს აქ არ გამოვიყენებ, რადგან, ვთქვი და ახლა ვიმეორებ: **ფრიდონ თოდუას კლინიკას არანაირი რეკლამა არ სჭირდება, იქ საძმე „ლაპარაკობს“.**

რუსლან რუსია.

P. S. თუმცა ერთი ფაქტი კი უთუოდ უნდა აღინიშნოს: **შარშან** თოდუას კლინიკაში ამოქმედდა ცნობილი ამერიკული ფირმა „ვარიანის“ წარმოების „თრუბიმის“ მოდელის მაღალი ენერგიის სხივური ამჩქარებელი — თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის ერთ-ერთი საუკეთესო დანადგარი, რომლის მსგავსი აპარატიც, „ვარიანის“ ევროპის ოფისის ხელმძღვანელის ფრიც დერერის თქმით, ევროპის ნებისმიერი წამყვანი კლინიკისთვისაც კი ფუფუნებაა.

მისმა ამოქმედებამაც უამრავ ადამიანს მოუტანა შვება, მათ შორის, ფინანსურიც. ამჟამად ყოველდღიურად 100-ზე მეტი პაციენტი მკურნალობს იქ და არ უწევთ ანალოგიური სამედიცინო სერვისისთვის უწინდებურად საზღვარგარეთ წასვლა.

და, ბოლოს, ბატონ ფრიდონ თოდუას პოზიცია: **„მედიცინა დღეს ისე სწრაფად ვითარდება, რომ თუ გინდა, მოთხოვნათა სიმაღლეზე იყო, მუდმივად უნდა განაახლო არსენალი და მოამზადო სპეციალისტები. ასე რომ, მოდუნების და დასვენების დრო ნამდვილად არ არის“.**

რ. რ.

ამდენად, ორივე ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დადგენა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების არსებობის პირობებში, უპრეცედენტოდ გაუმჭვირვალეა და კულუარული მოქმედებების შესაძლებლობას ქმნის. ამის არაერთი მაგალითი არსებობს, ამას სხვადასხვა კომბანკში კონკრეტულ დღეს გასხვისებული კურსიც მოწმობს ხოლმე, რომელიც ძალიან ხშირად ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად დადგენილს მნიშვნელოვნად აღემატება ხოლმე. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ბევრ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საგრძნობ ზარალს აყენებს, **ბანკირები კი ფულს ბაზრის ჩაკეტილობის წყალობით „ჭრიან“**.

ქვეყნის შიდა ბაზარი იმპორტული საქონლით გაჯერებული რომაა, ამის თქმა, ფაქტობრივად, ახალს არაფერს ნიშნავს, რადგან სამამულო პროდუქცია — უკლებლივ ყველა სეგმენტში! — ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მხოლოდ აქა-იქაა „ჩაწინწკლული“ და „უცხოტომელთა“ შემოსევას ვერანაირად ვერ უმკლავდება.

ამის თვალნათელი ანარეკლია საქართველოს წლიდან წლამდე მზარდი უარყოფითი საგარეო-სავაჭრო ბალანსი. ამდენად, იმ პირობებში, როცა ქვეყნიდან დიდძალი სავალუტო სახსრების გადინების შეჩერება უახლოეს პერსპექტივაში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, იმპორტიორები იძულებულნი იქნებიან, ვალუტა ისევ კომბანკებში სპეკულაციურ ფასებში იყიდონ, ზედმეტი ხარჯი საქონლის ფასში ასახონ, რასაც ხვალ და ზეგ ისევ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები გადავიხდით.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ქართული არტილერიის 23 წლის იუბილე

ქართული არტილერიის 23 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება ვაზიანში პირველი საარტილერიო ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა.

საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ დაღუპულ არტილერისტთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ, პირველი საარტილერიო ბრიგადის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ზურაბ თაბუკაშვილმა, ბრიგადის პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა.

არტილერისტებს პროფესიული დღე მიულოცა და ქვეყნის წინაშე ღირსეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავარსარდალმა. სიტყვით გამოსვლისას თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არტილერიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

საზეიმო ღონისძიება დაჯილდოების ცერემონიით გაგრძელდა, საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით თავდაცვის სფეროში შეტანილი წვლილისთვის პოლკოვნიკი მამუკა ფარეშიშვილი, ვიცე-პოლკოვნიკები დავით წიკლაური და გიორგი გრიგოლია, მაიორები იოსებ ყაჯრიშვილი, ბესიკ თედიაშვილი, გიორგი ჩიხლაძე და გოგა ძნელაძე, კაპიტნები შმაგი სამხარაძე და გელა გელაზონია, უფროსი სერჟანტი თორნიკე ჯიმშელეიშვილი და უმცროსი სერჟანტი ლევან ქიმუცაძე დააჯილდოვა.

მინდია ჯანელიძემ ვიცე-პოლკოვნიკებს მამუკა აფციაურსა და თამაზ ხმიადაშვილს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმის გამო საშტატო იარაღი — სნაიპერული შაშხანები გადასცა. საიუბილეო ღონისძიებაზე 28 სამხედრო მოსამსახურემ თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლები მიიღო, მათგან 8 სამხედრო საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებისა და ჯარების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისთვის მედალი „გენერალი კვინიტაძე“, 6 ოფიცერს წარმატებული სამხედრო ოპერაციებისა და ფართომასშტაბიანი სწავლების დაგეგმვისა და მართვისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის მედალი „გენერალი მაზნიაშვილი“, ხოლო 8 სამხედრო მოსამსახურეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში გამოჩენილი დამსახურებისთვის მედალი „სამშობლოსთვის თავდადებული“ გადაეცათ.

◎ პოეტის სიტყვა

„იქ თეატრი არის?“

ერთხელ ყელმა თუ გაგიშვა
და მაღალ დო-ზე ავარდი,
მერე როგორ უნდა იცხოვრო?

ეს დავწერე დიდი ხნის წინათ სიმღნელეში, სიცივეში, როცა კონცერტი კი აღარ, ინსტრუმენტების აწყობის დისონანსები მენატრებოდა, მუსიკამდე არმისული, შეიძლება, პური არანაკლებად (ღამეების გათევა მიჭირდა პურის რიგში), მაგრამ რადგან „არა პურითა ერთითა“, მუსიკაზე ფიქრი ვერ მოვიშალე, ვერც გაყინული თითებით წერა. ამ დროიდან წამოვიდა ლოზუნგი: „რა დროს პოეზიაა!“, კიდევ უფრო უცხო ძველისძველ ისტორიულთან შედარებით: „ცალ ხელში ხმალი, მეორეში – კალამი“! ექსტრემალური სიტუაცია ეროვნული იდენტობის საპირისპიროდ.

ლია სტურუა

ნიკო ლორთქიფანიძე ჩვენი გადარჩენის მიზეზს, როცა ბევრი ძველი და კულტურული ერი გადაშენდა, იმაში ხედავდა, რომ მიწის მუშებიც ვიყავით, ვაჭრებიც და ხელოვნების კულტის მსახურნიც. იმ გადაუღებელი ომების დროს არავის არ წამოცდენია: „რა დროს პოეზიაა“. დავით აღმაშენებელი ომსა და ომს შორის „გალობანი სინანულისანი“-ს წერდა.

XX საუკუნის შუა წლებში, როცა საუკეთესო ქართველებს ხოცავდნენ, პაოლო იაშვილმა თქვა:

„დადის ქალაქში სხვისი მსგავსი
ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს:
ეს კაცია ლექსის მწერალი“.

მერე რუსთაველზე დადგებოდა, ხელს გაიწვდიდა და ნაცნობ მათხოვარს დიდძალ ფულს შეუგროვებდა. ეს ორი სტრიქონი ასე გრძელდება:

„მაგრამ ვინ იცის,
რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი დასაღუპი,
ტვინი ვერანი“.

ის ტვინი, რომელიც სანადირო თოფით თვითონვე მოკლა მწერალთა კავშირში. კი მეტყვის ჩემი ანტაგონისტი, ეს ყველაფერი იყო, მაგრამ ახლა ანაქრონიზმია, ელექტრონული წიგნების, ადაპტირებული ტექსტების, კომიქსებისკენ მიდრეკილების პერიოდში. ჩემი ძვირფასი ანაქრონიზმი!

კომპიუტერი გენიალური გამოგონებაა, მაგრამ ადაპტირებული ტექსტი - მავნებლობა. აბა, მოყევი „ვეფხისტყაოსანი“ – ერთი ჩვეულებრივი ზღაპარი გამოგივა, ბოლოში „ქატო იქა, ფქვილი აქა“ და ის მაღალი და დაბალი შაირის მუსიკა, ის ანთროპომორფიზმი და ანტიკური თავებიდან წამოსული სხვა იზმები, რომლებსაც ბოლოსკენ ქრისტიანობა არბილებს?

ვაჟა-ფშაველა რომ ამბობს: – ხომ ვიცი, ქვას ტვინი არა აქვს, მაგრამ რომ ფიქრობსო?

საიდან მოდის სულიერების ეს უაღრესი ხარისხი?

რუსთაველიდან: – „მისი ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან“. თეიმურაზი წერდა: „მაშინც რუსთველსა აქებენ, მე ამან გამაგულისა“ რატომ? იმიტომ, რომ მართლა კარგ პოეტს, თავში არ მოუვიდოდა ქვის სულიერობაზე დაფიქრება, მუსიკა კი ჰქონდა ამ თავში, მაგრამ ცას ვერ წვდებოდა.

სიტყვაზე სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ, ჯერ ერთი, სიტყვა ღმერთის პირველსახეა და მეორეც, ჩემი ყური, თვალი და გულია. მის გარეშე არც მესმის, ვერც ვხედავ და ვერც ემოციებს ვერევი. ყური ადვილად გასასრესი ლოკოკინაა, შიგნიდან თუ მუსიკა არ დაგახვედრა, თვალში განსხვავებული ბროლი როცა გიდგას, შეიძლება, ორ ნაბიჯზე ვერ დაინახო, რა ხდება, მაგრამ კილომეტრების იქით მთა რომ იისფერია, გალაკტიონი დაგანახებს, ემოციასაც იმპულსებამდე არ ჩამოგაქვეითებინებს.

რასაც ჩვენ თავისუფლებაზე და იდენტობაზე ვლაპარაკობთ და ქვეყანა, ერი ხომ ეთნიკურ ჯგუფად იქცევა, თუ კულტურა და ხელოვნება არა აქვს, ანუ სული თუ ამოაცალეს. სიტყვა „სულიერებას“ ისე წაღმა-უკუღმა ხმარობენ, რომ გაცვითეს, ფუყე მაღალფარდოვნებას მიუახლოვეს.

ხალხს გუშინ და გუშინწინ არ მოშიებია და თავზე ჭერი არ დაუკარგავს, მაგრამ როცა გარეთ იმართება კონცერტები, მოედნები გატენილია. მახსენდება მ. სვეტლოვი „ხალხს აწუხებს ესთეტიკური წყურვილი და ის ხშირად სვამს მღვრიე წყალსაც“. კი, ესტრადა, სიმსუბუქე, რეპი, როკი, მძიმე, ლითონის, მაგრამ ლექსებიც იწერება, კარგი, საუკეთესო.

და, მაინც, „რა დროს პოეზიაა?“ თუ შევთანხმდით, რომ თავისუფლება, რომელიც პირზე გვაკერია, შეიძლება, მხოლოდ ერმა მოიპოვოს და არა ეთნიკურმა ჯგუფმა, რომ ნამდვილი თავისუფლება მოდის მას შემდეგ, რაც „საკუთარი თავიდან წვეთ-წვეთობით მონას გამოდენი“ და მიხვდები, რომ შენი სულის მოძრაობა ერის სულიერების პირდაპირპროპორციულია, მაშინ გაქვს შანსი არსებობის გაგრძელების, თავის დამკვიდრების, რასაც ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის და პატარა ერობის გამო სულ ვცდილობთ და სულ გვეშინია, რომ არ გამოგვივა.

როგორი იქნებოდა სამოქალაქო ომიდან გამოსული საქართველო, რომ მარტო ტალახის პური შერჩენოდა მის მეხსიერებას, დანგრეული რუსთაველის გამზირი, დემონსტრაციები, აქციები, პოლიტიკა, პოლიტიკა და არავითარი პოეზია!!

რომ ამ 20 წლის წინთ არ გამოჩენილიყო ადამიანი, რომელიც დანგრეულ თეატრებს, კონსერვატორიას, მუზეუმებს, ეკლესიებს აშენებდა, რომელმაც შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა უამრავი შემოქმედი. რატომ მთელი ქვეყანა არაო?

მთელი ქვეყანა ორი პურით და ხუთ თევზით მხოლოდ ქრისტეს შეუძლია გააძღოს.

„ჩემი სიცოცხლის გარანტია
ივანიშვილის გრანტია“

ამბობს პოეტი ტარიელ ჭანტურია და ეს მეტაფორა არ არის. ეს დიდი ეროვნული საქმეა.

ხელოვნებას რომ ფეხი დაადგა, ამით სოციალურ მდგომარეობას ეშველება რამე, მით უმეტეს, ასეთ ფეთქებად გარემოცვაში?

მახსოვს, იმ სამოქალაქო ომის შემდეგ, როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა ქალაქში აღდგა ჩემი საყვარელი სამკუთხედი: ოპერა, კონსერვატორია, რუსთაველის თეატრი.

ელგუჯა მეხუმრებოდა: სეზანმა რომ ვაშლებში და ატმებში დაინახა გეომეტრიული სხეულები, ისე მოგდისო.

ეს სამკუთხედი ერის არსებობის გაგრძელება იყო. როცა კახი კავსაძის გმირი სიკვდილის წინ კითხულობს: – იქ თეატრი არის? და ვიცი, ვინ გადაარჩინა კახი კავსაძე და იმ თეატრის მოდელი მიწაზე, უნდა მქონდეს უფლება მიუკერძოებლად, ყოველგვარი პოლიტიკისა და ჭორების გარეშე, პატივს ვცემდე ამ ადამიანს, თუნდაც ჩვენი ეროვნული სულის გადარჩენისათვის. კი სხეულიც გადასარჩენია. მძიმე მდგომარეობა გვაქვს, ძალიან გვიჭირს, მაგრამ სოფლის მეურნეობაზე აშკარად კეთდება აქცენტები ამ ბოლო დროს, რაც მალე ნაყოფს გამოიღებს.

და მთავარი, რაზეც, რატომღაც არავინ არ ლაპარაკობს, (წამგებიანი თემაა „ხმლის ალესვის“ ანაქრონიზმთან შედარებით). სიკვდილს რომ გვაჭმევენ, აგერ, უკვე, 10-15 წელია: კანცეროგენული კონსერვანტებით დატენილ და გენმოდიფიცირებულ პროდუქტს? ყოველ მესამეს თბილისში რომ ონკოლოგიური დაავადება აქვს, ამის გამო და უცხოეთიდან შემოტანილი, იქ სანაგვეზე გადაყრილი მანქანების გამონაბოლქვის გამო? დიდი ხანია, არაფერი არ გამხარებია ისე, როგორც მთავრობის გადაწყვეტილება შემოტანილ პროდუქტზე კონტროლის დაწესების შესახებ. ჯერ ეს მაინც, თორემ რა რუსეთი, რის ამერიკა, ევროკავშირი და ლარის კურსის გამყარება, როცა საკუთარ თავს გენოციდს ვუწყობთ?

სულ ახლახან ვუყურე გადაცემას ფრანგ კომპოზიტორზე ვლადიმერ კოსმაზე, წარმოშობით რუმინელზე, რომელმაც თქვა: - საფრანგეთში ფრანგი ვერ გავხდი, რუმინეთში როცა ჩავედი, მივხვდი, რომ რუმინელადაც არავის აღარ მივაჩნივარ და მხოლოდ საკონცერტო დარბაზი და სცენა, სადაც ორკესტრს ვდირიჟორობ, არის ჩემი სამშობლო.

ღმერთო, დიდხანს შეგვინარჩუნე ეს სამშობლო, ნამდვილ და გეოგრაფიულ სამშობლოსთან ერთად!

შეგვაძლებინე უღირს ლოზუნგს „რა დროს პოეზიაა?“ (ხელოვნებაა, კულტურაა) დავუპირისპიროთ გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც უჭირდა, ეშინოდა, სვამდა, მერე სახლში მოვიდოდა და დაწერდა:

„სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა
მეგობრებო, სიკვდილამდე მექნება
მხოლოდ ერთი სიხრულის შეგნება
პოეზია უპირველეს ყოვლისა!“

ლია სტურუა

◎ პოეზია

ერთი ძმის მეჩეთზე ნამგალა მთვარეა... მეორის ტაძარზე – ჯვარი...

ნინო მარიამიშვილი წლების განმავლობაში საქართველოს პროკურატურაში საქმიანობდა, სამი შვილის დედობას, პოეტობას და საქმიან ქალობას წარმატებით რომ უთავსებდა ერთმანეთს. ამჟამად ქალბატონი – ნინო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ადვოკატთა ასოციაციის წევრია.

ნინო მარიამიშვილის ლექსები ერთი შეხედვით, თითქოს ქალის ისტორიაა, პოეტს აღელვებს საქართველოს ბედთან და მომავალთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა, ცაშიც უფრენია, მაღალ მწვერვალებსაც ასწვდენია,მიწაზე დაცემის ტკივილიც უგრძნია და მარტო დარჩენისაც, მაგრამ საყვედური მხოლოდ საკუთარი თავისადმი გამოუხატავს. მისი ლექსები ავტორის სულის სარკეა.

„ჩემში სიკეთის ქარი ბობოქრობს, ღრუბლის საფანტად ვარ გაჩენლი“, – ამბობს ერთ-ერთ ლექსში **ნინო მარიამიშვილი,** რომლის სამ ახალ ლექსსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ახალი წლის ღამე სარფში

(ღამის 12 სთ.)

აქ, სარფში საზღვარზე,
(თოვლში და ყინვაში)
ქართული სულივით ვიმზირები...
ოდესღაც ამ ზღვარზე,
კოშმარულ ხილვაში,
გაგვიყვეს მთები და ზვრები!

ერთი ძმის მეჩეთზე ნამგალა მთვარეა...
მეორის ტაძარზე – ჯვარი...
ცაც მგლოვიარეა, ზღვაც მგლოვიარეა,
სუსტია დეკემბრის ქარი...

ერთ მხარეს ქართველნი
ახალ წელს ხვდებიან,
სალუტებს აქუხებს ერი...
მეორე მხარეზე მიდამო ბნელია...
ერთბაშად ვტირი და ვმღერი...

ოსმალთა სამკვიდრო მოძმე თურქეთია,
დაცული ფუძით და ჭერით.
სამშობლო, რომელიც დღეს „მემლექეთია“,
მაცილებს წარსულის მზერით...

მე აფხაზეთის ტკივილი მტკივა

ჟიული შარტავას ნათელ ხსოვნას

ჟამი საუფლოს ტკივილებს ამხელს,
გული უდარდელ აკვანს მისტირის,
ჩაკირულია ჩემს სულში სევდა,
ისევე, როგორც ლოდი ქვითკირის.

ო, საზრდოდ მრუმე შემომრჩა სევდა,
ფარხმალდაყრილი ჯარები გვიცავს,
დანაღმულია ჩემი ქვეყანაც,
ნატყვიარია ქართული მიწა.

მე აფხაზეთის ტკივილი მტკივა,
მშვიდი გზიფი და შლეგი ენგური,
ძიძიშვილებმა წარგვტაცეს მიწა
და გაუგებრად სულ სხვებს ვემდურით.

ჩემს ლამაზ მხარეს რა გადაარჩენს?
რარიგად მტანჯავს ფიქრები მწველი!
ჟამი ნატყვიარ მარჯვენას არჩენს,
დაჩეხილ გულს კი ვერარა შველის.

ცვივა ფოთლები

ცვივა ფოთლები –
შემოდგომით
გაშიშვლებული,
ოქროს ფურცლების საგანძური
მიწაში ჩადის,
დგანან ვერხვები, სიმარტოვით
დაზრიყვებული
და ფეხაკრეფით ტოტებს შუა
ზამთარი დადის.

შეუდარებელი „თამადის“ შეუდარებელი „სადღეგრძელო“

წიგნი „თამადა“ შეუდარებელი გოგი ხარაბაძის სეფე სიტყვაა... თამადის სეფე სიტყვა, როდესაც ბუზის გაფრენის ხმაც გესმის. კითხულობ მოგონებებს პაწაწკინტელა ნოველებად რომ უქცევია ავტორს და უცნაურ სამყაროში გადადიხარ, ქვეყანა ირინდება, შენს გარშემო აღარაფერი არსებობს გარდა იმ მოგონებებისა, რომლის ეპიცენტრში თავად დგეხარ, რადგან ყოველივე იმის მომსწრე-გამთავისებელი ხარ, შენია, შენი ცხოვრებაა თითქოს... ოღონდ ბატონი გოგი კითხულობს შეუდარებელი, მხოლოდ მისთვის ჩვეული, გამოჩენილი მსახიობისა და დეკლამატორის საოცარი ხმით.

„2008 წლის აგვისტოში ბრძოლის ველზე მომწყდართა ხსოვნას ეძღვნება!“ გოგი ხარაბაძის რიგით მეშვიდე წიგნი. წიგნი სამოცდაათამდე სცენური სახის შემქმნელისა, რუსთაველის, სახელმწიფო და დავით კლდიაშვილის პრემიების ლაურეატისა, საქართველოს სახალხო არტისტისა. უცრემლოდ ვერ წაიკითხავ, სწორედ იმგვარად წამოგივა კურცხალი, თამადა უდროოდ წასულთა სადღეგრძელოს რომ იტყვის. აქაც წარსული დღეებია, თითქოს მშვიდად, აუჩქარებლად მოთხრობილი, ზუსტად იმგვარად, როგორც 29 დისკად შეკრებილი მსოფლიო პოეზიისა და ქართული საგანძურის აუდიოჩანაწერების დეკლამატორს რომ სჩვევია. სწორედ ისე აუჩქარებლად ოთხი მოციქულის სახარებების თხრობით რომ გვატკბობდა ტელეეკრანიდან, და ყველაზე აღმატებული მსოფლიო დედა წიგნის, „ბიბლიის“ აუდიო ვერსიას რომ გვიქადაგებდა, 51 დისკად შეკრულ საოცრებებად.

კითხულობ ამ საოცარ წიგნს, რომელიც შიგადაშიგ გაჯერებულია კითხვებით... კითხვებით და ისევ კითხვებით, მევრისთვის უცნობი, მევრისთვის ნაცნობი, მაგრამ როგორ ავსებენ ამ ციცქნა წიგნს ეს კითხვები.

აი, თუნდაც რამდენიმე:

● რომ იერუსალიმში, ქრისტიანთა ყველაზე წმინდა ძეგლის, გოლგოთის ჯვრის ეკლესიის გასაღებს ჯიბით ატარებს კაცი, რომელიც აღმსარებლობით... მუსლიმანია.

● რომ მორიელები ადამიანებს ჰგვანან... ერთმანეთს ჭამენ.

● რომ საქართველოში რესპონდენტი მინისტრები უფრო ახალგაზრდები არიან, ვიდრე კორესპონდენტები და მათი ასაკის დადგენა ტელეეკრანიდან თითქმის შეუძლებელია...

და უამრავი ამდაგვარი საინტერესო რამ, რომელიც გოგი ხარაბაძის უშესანიშნავეს ჩანახატებშია მიმოფანტული.

და მე დავამატებდი, იცით თუ არა, რა გადახდა თავს დიდ მსახიობს გერმანიაში მკურნალობისას? ანდაც ვინ იყო უკანასკნელი ერროვნებით რუსი, რომელიც ქართველებმა ზარ-ზეიმით, ქეიფითა და დიდი სიყვარულით გააცილეს თავის სამშობლოში? ანდაც რა მისწერა მოსკოველ მეგობარს გოგი ხარაბაძემ? ანდაც ვინ არის ეს მეგობარი?

ყველაფერი... ყველაფერი ამ წიგნში წერია, შეუდარებელ „თამადაში“, სადაც ასაცრემლებელ „სადღეგრძელოებს“ წაიკითხავ...



აქვე, ჩვენი გაზეთი „კვირაძალს საკითხავში“ კი ბატონი გოგის ორ შესანიშნავ ჩანახატს შემოგთავაზებთ მისი რიგით მეშვიდე წიგნიდან.

მამუკა ვაშაკიძე.

უკანასკნელი რუსი

ნახევარი საუკუნის წინ ცხონებულმა დედაჩემმა ეზოში დაფნა დარგო. იზარდა პატარა ხე, იზარდა და აგერ, უკვე, მეოთხე სართულს მოაღწია.

იმ დილით მისი ფოთლებისგან დიდი გვირგვინი გავაკეთებინე, ზედ ორი ლენტი მივამაგრებინე წარწერებით: „Лондон-Тбилиси“ და „Рост-2008“ და ხელდამშვენებულმა გავწიე შამპანურის ქარხნისკენ, სადაც შორეული ქვეყნიდან დაძრულ მოგზაურთა დასახვედრად ხალხი იყო შეკრებილი. ლონდონიდან, 12 თუ 14 ქვეყნის გავლით, თბილისისკენ, ექვს თანამოაზრესთან ერთად, ჩემი ძმა, სამოცდაათს მიტანებული იურა როსტი მოემართებოდა – მოტოციკლეტით!

თავკაცი ამ უჩვეულო, ახირებული წამოწყებისა, ჩემი ძველი მეგობრის ვაჟი ჭკვიანი, საქმიანი ახალგაზრდა – ლევან ვასაძე იყო.

მოადგნენ თუ არა საქართველოს საზღვარს სარფში, „თავგადასავალთა მაძიებლებს“ ჩემი გაგზავნილი პირველი პლაკატი შეეფეთათ, წარწერით:

„Родина приветствует великого путешественника Юрия Роста“

პლაკატის იქ ჩამტანმა მოყვა, მერე: იურას, კითხვისას, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსეო. თბილისამდე, კიდევ რამდენიმე ადგილას დავახვედრე სხვადასხვა შინაარსის ტრანსპარანტი. უკანასკნელი გორში:

„Стой сука! Ето Гори – Родина „Лица Росии“. Поклонись!

თბილისში, ორივენი თვალცრემლიანი ვიდექით, იურა – დაფნისგვირგვინოსანი, მე – მისი ჩამოსვლით გაბრწყინებული.

საღამოს, როგორც შინაურებს შეეფერება, ოჯახურ წრეში ჩაი დავლიეთ და დილისთვის გავემზადეთ.

დილით უწმინდესი გველოდა. საოცარია საქართველოს პატრიარქი. ყველა უყვარს, ცუდიც და კარგიც, ყველას ღვთის შვილად მიიჩნევს. მაგრამ მგონია, რომ ზოგჯერ გამონაკლისს მაინც უშვებს და კარგები ცოტათი უფრო უყვარს. ისიც მგონია, რომ მე და იურას ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიგვაკუთვნებს.

რაც შეეხება ჩვენს მისდამი სიყვარულს, მოწიწებას და ახლობლობას, 30 წელი უსრულდება თითქმის...

იურა ყოველი ჩამოსვლისას პატრიარქს თავის წიგნებს ჩუქნის. ამჯერად წიგნი არ ყოფილა. იყო საუბარი – ხანგრძლივი, თბილი, დაუვიწყარი. ყველაფერს შევეხეთ, პოლიტიკის გარდა.

დამშვიდობებისას უწმინდესმა, როგორც წესად აქვს – დაგვლოცა...

იქიდან გამოსულებმა, ახლა უკვე ჩვენი წესისამებრ, „ნაცნობ“ ადგილებს მივაშურეთ და დავუბერეთ... მეორე დილით ჭავჭავაძიანთ მამულს ვესტუმრეთ, წინანდალში. იქაურობა კიდევ უფრო დამშვენებულიყო. აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა და ყველაფერს ეტყობოდა მზრუნველი ხელი.

აბა, კახელები ისე როგორ გამოგვიშვებდნენ და შუაღამისას ძლივს ჩამოვაღწიეთ თბილისში.

დილით, დაფნისგვირგვინგადაკიდებული იურა თვითმფრინავში ავიდა და გაფრინდა...

7 აგვისტო იყო 2008 წლისა.

დარჩენილი დღე და ღამე, როგორც მთელმა საქართველომ, მეც ტელეეკრანთან გავატარე. საინფორმაციო სამსახური სიტუაციის უკიდურესად გამწვავების შესახებ იუწყებოდა. იმდენად შეშფოთებულ-აფორიაქებული ჩანდა პრეზიდენტი საკაშვილი, ინფორმაციაც იმდენად გაუგებარ-დაულაგებელი იყო, ჭირდა გაგება, რა ხდებოდა სინამდვილეში.



„ჩემო ძვირფასებო“, გონს მოდით, ჩვენ ომი არ გვინდაო– ამ სიტყვებით მიმართავდა რუსებს, რომლებსაც უკვე გადმოეკვეთათ საქართველოს საზღვარი და ცხინვალში შესულიყვნენ.

სიტუაცია სწრაფად იცვლებოდა და იძაბებოდა, ნელ-ნელა თხოვნა-გაფრთხილების ინტონაცია შეიცვალა და გაისმა განცხადებები ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი რუსული სამხედრო ნაწილებისათვის წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე...

დილით იურამ დარეკა, ძლივს ამოღერღა:

– Неужели воина?!

ნამდვილად ასე იყო: 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო.

იმავე დღეს ჩვენგან ძალიან შორს, ჩინეთში, ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდა.

ნამდვილ ოლიმპიელს ჰგავდა, თბილისიდან გაფრენის დღეს დაფნისგვირგვინოსანი იურა როსტი, რომელიც ის უკანასკნელი რუსი აღმოჩნდა, საქართველოდან პურმარილით, სიმღერითა და სიყვარულით რომ გააცილეს.

ლხინი ჟამიანობისას...

ვახუშტი კოტეტიშვილს ვეთხოვებოდით იმ დღეს...

პოეტს, სიტყვის ოსტატს, რომანტიკოსს, რომელმაც იცოდა მამულის, სიყვარულის ფასი...

მასთან ერთად ვეთხოვებოდი რაღაც ძალიან ძვირფასს და ახლობელს ჩემთვის – ძველი თბილისის გულისცემასა და სურნელს.

ქაშუეთის ეკლესიაში იყო დასვენებული ვახუშტის ცხედარი. ტაძრის ეზო სავსე იყო მისი დამფასებლებით, მისი იდეალების გამზიარებელი დარდიანი ქართველებით, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო იქვე ქუჩის გადაღმა, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილ ზღვა ხალხთან. ხელისუფლებას მოეხმო ისინი, რათა ეთქვა მთელი მსოფლიოსათვის, ნახეთ, რა ხალხი ვართ,თბილისიდან 30 კილომეტრში ცეცხლია გახსნილი, ხალხია დაღუპული, ჩვენ კი იხტიბარს არ ვიტეხთ, ვმღერით და ვტაშფანდურობთო...

ტაძრიდან ისე გამოასვენეს სასახლე, საპირისპირო მხარეს, ცეკვა-თამაში და სკანდირება არ შეწყვეტილა.

დაკრძალვის შემდეგ ვთქვით, თითო ჭიქა წავუქციოთ-თქო ვახუშტის და მართლა ასე მოხდა: მხოლოდ ჭიქები ავწიეთ. არც საუბარი გამოვიდა და ვერც ერთად ყოფნამ გავვიყუჩა ტკივილი.ასეთ დროს თამადა კისრულობს ხოლმე სუფრის წარმართვის სირთულეს და ჩვენმა თავკაცმაც, ქართული ტრადიციისამებრ, ღირსეულად გაგვაცილებინა მეგობარი უკანასკნელ გზაზე.

ისე, თავკაცი მხოლოდ სუფრას არ ამშვენებს, ქვეყანას ამშვენებს, ქვეყანას ადგამს გვირგვინს პირველ რიგში.

ჭკვიან მეთაურზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. გამოცდილება უნდა ჰქონდეს, ნიჭი, მოხერხება და გამჭრიახობა, რომ სუფრა – ქვეყანა უფსკრულში არ გადაჩეხონ ღვინო-სისხლს დახარბებულმა თანამოსუფრე-თანამმართველებმა.

როგორ სჭირდება საქართველოსა და რუსეთს ბრძენი წინამძღოლი-თამადა, რომელიც აჭრილ-ატორტმანებულ, გამომთვრალ ხალხს, ჭკუაზე მოიყვანს.

დავიშალეთ... სახლებში დავბრუნდით. მთავრობის სასახლის წინ კი ისევ გრძელდებოდა ქართული და უკრაინული დროშების ფრიალი, სკანდირება: „საქართველოს გაუმარჯოს“, „შეაჩერეთ რუსეთი“, „სარკოზ! სარკოზ! სარკოზ!“, ისევ სჭექდა რეპროდუქტორებში საქართველოს ჰიმნი...

ჰიმნს, რამდენადაც ვიცი, გამარჯვებული ან ომში მიმავალი მღერის. აქ რა ხდება? საქართველოს ნაწილი ოკუპირებულია, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დაკარგულია, ღმერთმა უწყის, რამდენი ხნით... ცხინვალში დაღუპულთა ცხედრები ჯერ მიწისთვის არ მიგვიბარებია... ესენი რას ზეიმობენ, რა ემღერებათ? რას აღნიშნავენ ასე მონდომებით?

საგანგებოდ აღმართულ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან უკრაინის, პოლონეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის პრეზიდენტები... თავიანთი გასაჭირი აქვთ... შიშობენ, ეტყობა, მათი ჯერი რომ არ დადგეს... მათკენ რომ არ გადაბრუნდეს ქართული სისხლით გამძღარი თეთრი დათვი და ქვეშ მოიყოლიოს რიგ-რიგობით...

1992-ში, ცხონებულმა თემურ ფიფიამ დამირეკა, – სოხუმი დაეცა, გამოვდივართო. ცა ჩამომექცა თავზე. ათი დღე ლოგინიდან ვერ ავდექი. მერე, პირადი ტრაგედია დამეწია. დამამსხვრია. იმ სიმწარეს ვერაფერს შეადარებს კაცი... დღევანდელმა ღამემ გააცოცხლა ის იარები... მაშინდელივით განადგურებული, დათრგუნული, დამცირებული, საკუთარ უმწეობასთან მარტო დარჩენილი, ვფიქრობდი: თუ ეს „ჯოს, ჯოს“ – მოღრიალე, ბრბო ჩემი ხალხია, მაშინ მე უარს ვამბობ მათზე!

საქმე №1/23-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

16 მარტი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: ელგუჯა საღრიშვილი, თამრიკო ნიკოლიშვილი.

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 6 თებერვალს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის ელგუჯა საღრიშვილისა და თამრიკო ნიკოლიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 17 მარტს შპს „ნოვა კრედიტსა” და ელგუჯა საღრიშვილს შორის დაიდო №031412919 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 700 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის თამრიკო ნიკოლიშვილის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მერსედეს-ბენც CLK 230; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2001; ტიპი: კუპე; ფერი: შავი; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WDB2083481F190358; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AV8472886; სარეგისტრაციო ნომერი: FHF756;

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ელგუჯა საღრიშვილზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ელგუჯა საღრიშვილსა და თამრიკო ნიკოლიშვილს ორჯერ გაეგზავნათ როგორც სარჩელში მითითებულ ისე მათი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ მოპასუხეები მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობენ და ვერც მათი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ელგუჯა საღრიშვილსა და თამრიკო ნიკოლიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ელგუჯა საღრიშვილი და თამრიკო ნიკოლიშვილი მათი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობენ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე ელგუჯა საღრიშვილსა (პირადი №01017011656) და თამრიკო ნიკოლიშვილს (პირადი №06001003603) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ელგუჯა საღრიშვილსა და თამრიკო ნიკოლიშვილს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოთ მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ელგუჯა საღრიშვილსა და თამრიკო ნიკოლიშვილს ეცნობოთ, რომ 2015 წლის 16 აპრილს 16:00 საათზე შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ელგუჯა საღრიშვილისა და თამრიკო ნიკოლიშვილის მიმართ.

5. ელგუჯა საღრიშვილსა და თამრიკო ნიკოლიშვილის ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/10-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

16 მარტი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: ალექსანდრე ვადაჭკორია

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 23 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის ალექსანდრე ვადაჭკორიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 27 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა” და ალექსანდრე ვადაჭკორიას შორის დაიდო №011412711 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 4300 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 27.02.2014წ.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

საკრედიტო ხელშეკრულებით თანახმად სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: – მარკა, მოდელი: TOYOTA CAMRY; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2008; ტიპი: სედანი; ფერი: რუხი 1/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №JTNBE40K203144498; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL1640415; სარეგისტრაციო ნომერი: FWF764;

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა მოპასუხე ალექსანდრე ვადაჭკორიაზე სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ალექსანდრე ვადაჭკორიაზე ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ რეგისტრაციის ადგილის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს და ვერც მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ალექსანდრე ვადაჭკორიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ალექსანდრე ვადაჭკორია მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე ალექსანდრე ვადაჭკორიას (პირადი №61001021265) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ალექსანდრე ვადაჭკორიას განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ალექსანდრე ვადაჭკორიას ეცნობოს, რომ 2015 წლის 16 აპრილს 17:00 საათზე შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ალექსანდრე ვადაჭკორიას მიმართ.

5. ალექსანდრე ვადაჭკორიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

ქართული ლარის გაუფასურების პროტაგონისტის ძიებაში...

რა ფაქტორებმა განაპირობეს ეროვნული ვალუტის ვარდნა და ვინ არის დამნაშავე?

ამასთან, **მსოფლიოში ნავთობპროდუქტების ფასების შემცირებამ ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობაზე.** 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, ფულადი ტრანზაქციების მოცულობა 36.2 მლნ. აშშ დოლარით (2.5%-ით) შემცირდა. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო 2014 წლის დეკემბერი, როდესაც წინა წლის დეკემბერთან შედარებით საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ იკლო 38.5 მლნ. აშშ დოლარით, ანუ თითქმის 1/4-ით (24.9%-ით). 2014 წელს **ფულადი გზავნილები რუსეთის ფედერაციიდან შემცირდა 92.2 მლნ. აშშ დოლარით, ანუ 11.5 პროცენტით,** მათ შორის დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით – 38 მლნ. აშშ დოლარით (43%-ით)*.

მართალია, *ევროპის ქვეყნებიდან ევროში დენომინირებული გზავნილები ფაქტობრივად არ შემცირებულა,* მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ევროს თითქმის 20-პუნქტიანმა დევალვაციამ აშშ დოლართან შედარებით (2015 წლის იანვარში ერთი ევრო ღირდა 1.168 აშშ დოლარი, ნაცვლად ერთი წლის წინანდელი 1.364 დოლარისა) ევროთი განხორციელებული გზავნილები დოლარში დენომინაციისას საგრძნობლად შეამცირა.

მთლიანობაში, **2014 წლის დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით, საქართველოს ექსპორტი შემცირდა 60.7 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო ფულადი გზავნილები - 38.5 მილიონი აშშ დოლარით.**

ამის საპირისპიროდ, საქართველოში იმპორტი 2014 წლის დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით გაიზარდა 42.8 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო ფულადი ტრანზაქციები საქართველოდან უცხოეთში – 4.8 მლნ. აშშ დოლარით. **საზღვარგარეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების შემცირება და საქართველოდან უცხოეთში განხორციელებული გზავნილების ზრდა იწვევს გზავნილების დადებითი სალდოს საგრძნობ შემცირებას,** ანუ სხვა ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამ ორი მიზეზით **2014 წლის დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით საქართველოდან 150 მილიონი აშშ დოლარით მეტი ვალუტა გავიდა.** შედეგი: კურსი ერთი წლის განმავლობაში დაეცა 17 პროცენტული პუნქტით (2013 წლის დეკემბრის 1.7129-დან 2014 წლის დეკემბრის 1.8850-მდე).

რუსული რუბლი/აშშ დოლარის ამჟამინდელი კურსის (60-65 რუბლი 1 აშშ დოლარზე) შენარჩუნების შემთხვევაში **ერთი წლის განმავლობაში რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა შეიძლება შემცირდეს დაახლოებით 350 მლნ. აშშ დოლარით.** ფაქტობრივად, **ბარელი ნავთობის თითო დოლარით გაიაფება წელზე გაანგარიშებით ნიშნავს საქართველოში რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების დაახლოებით 6 მლნ. აშშ დოლარით შემცირებას.** *კრიზისი, ნავთობის გაიაფება და დაწესებული სანქციები* არ იძლევიან ოპტიმიზმის რაიმე საფუძველს რუსეთიდან საქართველოში ტრანზაქციების ზრდაზე. 2015 წლის იანვარში რუსეთიდან ფულადი გზავნილების წილი შეადგენდა მხოლოდ 34.3 პროცენტს, რაც ორი წლის წინანდელზე დაახლოებით 1.5-ჯერ დაბალია (2013 წ. იანვარში - 51.7%).

ამჟამად რუსეთის წილი საქართველოდან განხორციელებულ ტრანზაქციებში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში შემოსულ გზავნილებში (შესაბამისად, 40.6% და 34.3%).

ეს, ასევ ვთქვათ, ობიექტური გარემოებები, რომელთაც იმოქმედეს ქართული ლარის კურსის დაცემაზე აშშ დოლართან.

ახლა შევეხოთ ენდოგენურ, ქვეყნისშიდა ინსტიტუციურ და პიროვნულ ფაქტორებს და პასუხისმგებლობას ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე. აქ აზრი ორად იყოფა: ოპოზიცია ლარის გაუფასურებაში მთავარ დამნაშავედ მთავრობას მიიჩნევს, დამოუკიდებელი ექსპერტების დიდი ნაწილი კი პასუხისმგებლობას რიგითობის მიხედვით ეროვნულ ბანკსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ანაწილებს.

* 2014 წლის დეკემბერში რუსული რუბლი დაეცა აშშ დოლართან 45%-ით.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 51

აღმასრულებელი ხელისუფლება *უცოდველი კრავი* ნამდვილად არ არის, მას ნამდვილად მიუძღვის „წვლილი“ ლარის გაუფასურებაში. ***ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვა, მისი შესრულების ასიმეტრიული და ასინქრონული ხასიათი შემოსავლებისა და განსაკუთრებით ხარჯების ნაწილში, იწვევს ეკონომიკაში ფულის მასის პერიოდულ მოზღვავებას, რაც გავლენას ახდენს ინფლაციაზე.*** სახელმწიფოს წინაშე მდგარი პოლიტიკური რისკებიც და გამოწვევებიც, რომელთა თავიდან მთლიანად აცილებაზე თუ არა, შემცირებაზე

უპირველესად ხელისუფლება აგებს პასუხს. *ქვეყანაში სამეწარმეო, ბიზნეს* და *საინვესტიციო გარემო* – ეს, უპირველეს ყოვლისა, მთავრობის პასუხისმგებლობის სფეროა. ***არასწორი, არარაციონალური, მათ შორის გაბერილი ბიუროკრატიული ხარჯები, საეჭვო საზოგადოებრივი ღირებულების პროექტების დაფინანსება, ბიზნესის საქმიანობის მეტისმეტი რეგლამენტაცია, ნეპოტიზმი*** – არასრული ჩამონათვალია იმ ფაქტორებისა, რომლებიც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას, აქედან გამომდინარე, საექსპორტო პოტენციალის ზრდასა და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს ეკონომიკით. ეს ყოველივე ლარის სტაბილურობას სერიოზულ ზიანს აყენებს, აძლიერებს მისი კურსის დაცემის რისკ-ფაქტორებს.

მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა დავაკნინოთ ეროვნული ბანკის როლი და „დამსახურება“ ლარის გაუფასურებაში. ზოგადად, ეროვნულ ბანკს ინსტიტუციური (და, აქედან გამომდინარე, მის ხელმძღვანელობას – პერსონალური) პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება ინფლაციაზე და არა უშუალოდ – ვალუტის კურსზე. ამავე დროს, მას შესწევს უნარი, არა მარტო არეგულიროს მიმოქცევაში ფულის მასის რაოდენობა, არამედ არსებითი ზეგავლენა მოახდინოს საკრედიტო რესურსების ღირებულებაზე, „გაატაროს“ ან მკაცრად არეგულიროს ფინანსური სპეკულაციების შესაძლებლობები, მიიღოს ზომები საზოგადოებაში არაჯანსაღი აჟიოტაჟის წარმოქმნასთან დაკავშირებით მიმოქცევაში დამატებითი სავალუტო რეზერვების გაშვება/ამოღებით. **მისი მოქმედების გამართლება მხოლოდ *ინფლაციის გეგმიური მაჩვენებლის უზრუნველყოფის* კონტექსტში – სამართლებრივი კაზუისტიკაა და ეროვნული ბანკისათვის ქვეყნის წინაშე მდგარი მონეტურ და ფინანსურ სტაბილურობაზე პასუხისმგებლობის მოხსნის მცდელობაა.** ეროვნული ბანკი, ფაქტობრივად, ყოველთვის დგას დილემის წინაშე: *გაზარდოს მონეტური განაკვეთი, რაც რამდენადმე შეამცირებს ფულის მასას მიმოქცევაში, თუ „იზრუნოს“ მთლიანი შიგა პროდუქტის ჯერჯერობით უაღრესად დაბალი მონეტიზაციის დონის – (დაახლოებით 20 პროცენტი)* ამაღლებისათვის და საამისოდ მიმოქცევაში დამატებითი ფულის მასა გამოუშვას.* ფულის მასის შემცირება, მართალია, თრგუნავს ინფლაციას, ხელს უშლის მისი „აფრების აშლას“, მაგრამ იგი შეიცავს სამეწარმეო, ბიზნეს-აქტიურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების, ფულის, საკრედიტო რესურსის გაძვირების, საბოლოო ჯამში კი ეკონომიკის *მონეტარული ანემიის* (ფულადი შიმშილის) საფრთხეს. ამიტომ **თუ ეროვნული ბანკის პოლიტიკა უწყებრივ დაინტერესებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მხოლოდ ერთ ასპექტზე – დაბალ ინფლაციაზე მიმართავს** (და არა ეკონომიკური ზრდის სტრატეგიაზე – ფორმალურად ხომ ამაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობაა...), **მაშინ მივიღებთ „მოთვინიერებულ“ ინფლაციას და ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპს.** ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკის რამდენიმეთვიანი დაგვიანებული და „მიკროსკოპული“ ნაბიჯები მონეტარული და ფინანსური სიტუაციის გამოსწორებაზე, ლარის სტაბილურობაზე უარყოფითად მოქმედი გახშირებული და თვალშისაცემი სავალუტო სპეკულაციების ფაქტობრივი „დაუნახავობა“, ხანგრძლივი დუმილი ლარის აჩქარებული დევალვაციის გამო საზოგადოებაში ატეხილ აჟიოტაჟზე – იმ ფონზე, თუ როგორ ზეოპერატიულად და სუპერაქტიურად ჩაერთო იგი 2011 წლის შემოდგომაზე ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის დავალებით ერთი კომერციული ბანკის და მისი მფლობელის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებში, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი ხელმძღვანელობა **გარკვეულწილად საბოტაჟისა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის მკაცრი დეფიციტის რეჟიმებში მოქმედებს.**

* მონეტიზაციის დონე – მიმოქცევაში ფულის მასის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან. ჩვენთან თუ დაახლოებით 19 პროცენტია, აშშ-ში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 61 პროცენტს, რუსეთში - 45 პროცენტს.

საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ინფლაციის დონე და დინამიკა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია არა მარტო ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობით, არამედ *საზოგადოებრივი მოლოდინებით და განწყობილებით.* ეროვნული ბანკის „შენელებული რეაქცია“ ლარის კურსის დაცემაზე პირდაპირ ურტყამს აღმასრულებელი ხელისუფლების ავტორიტეტს და სრულ უნისონში მოდის საპარლამენტო ოპოზიციის მიერ წარმოებულ სახელისუფლებო პოლიტიკის დისკრედიტაციის მცდელობასთან. ასეთი ინფორმაციული ფონის ფორმირება საზოგადოებაში და უცხოელ პოტენციურ ინვესტორებში იწვევს ნეგატიური მოლოდინების მუხტის ზრდას, რაც პირდაპირ კავშირშია მაღალი ინფლაციისა და ლარის გაუფასურების *მოლოდინის ფორმირებასთან.* ამიტომ პოზიცია: *„რაც უფრო ცუდია, მით უფრო კარგია“,* ლოგიკურად ჯდება იმ პოლიტიკური ძალის რევანშისათვის ეკონომიკური პირობებისა და ინფორმაციული ფონის შექმნაში, რომელმაც თავის დროზე ეროვნული ბანკის ამჟამინდელი ხელმძღვანელი მოიყვანა მის მმართველად*.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ, რომ მართალია, ლარის გაუფასურება მნიშვნელოვანწილად გარე, ობიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული, შიდა ინსტიტუციური, სუბიექტური და პოლიტიკური ფაქტორები, მათ შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის მხრივ, „ხელს უწყობდნენ“, ამძიმებდნენ ამას. რომ არა ეს, **ლარის კურსი აშშ დოლართან, ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობისა და დაბალი ინფლაციის პირობებში, 1.8-1.9-ს არ გადასცდებოდა. „შიდა ძალებიდან“ განსაკუთრებით დიდი „წვლილის“ შემტანი ლარის დევალვაციაში კი, ზემოთ მოტანილი გარემოებებით, აგრეთვე სამართლებრივი სტატუსის გამო, „პირველი ვიოლინო“ და პროტაგონისტი* – სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკია, თუმცა, საკუთარი წილი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება, ვიმეორებთ, ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებასაც გაუჭირდება.**

ისე, ჩვენში დარჩეს და, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის აბსოლუტურად სულერთია, თუ როგორ და რა პროპორციით გაინაწილებენ პასუხისმგებლობას აღმასრულებელი ხელისუფლება და ეროვნული ბანკი ინფლაციაზეც, ლარის კურსზეც და შიდა და გარე ვალების სიდიდესა და დინამიკაზე. – მათ სურთ მშვიდ, სტაბილურ გარემოში ცხოვრება, გარანტირებული სამუშაო და პროგრესირებადი კეთილდღეობა.

ეს ერთი შეხედვით მარტივი ამოცანა კი, სამწუხაროდ, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ჯერაც ისევე მიუღწეველია, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, 1990-იანი წლების დასაწყისში...

იოსებ არჩვაძე,
2015 წლის თებერვალი

* **ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის მოქმედება რაღაცით ჩამოგავს საბჭოთა მთავარსარდლობის ქცევას 1944 წლის ზაფხულში ვარშავის აჯანყების პერიოდში, როდესაც მდინარე ვისლას მარჯვენა ნაპირზე გასულმა წითელმა არმიამ, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთა მდინარის მეორე ნაპირზე ფაშისტების წინააღმდეგ 1 აგვისტოს დაწყებულ ამბოხების მონაწილეთა დასახმარებლად. საბჭოთა კავშირის მაშინდელი უმაღლესი მთავარსარდლის ლოგიკით, ლონდონში მყოფი პოლონეთის ემიგრანტული მთავრობისა და მისი მომხრე არმია კრაიოვას ორგანიზებით დაწყებული აჯანყების დამარცხების შემთხვევაში დასუსტდებოდა, ემიგრანტული მთავრობა დისკრედიტირებული იქნებოდა და საბჭოთა ხელმძღვანელობას გაუიოლდებოდა მომავალში საკუთარი პოლიტიკის მხარდამჭერი ძალის ე.წ. ლუბლინის კომიტეტის მოყვანა პოლონეთის სათავეში.**

* **პროტაგონისტი** – (ბერძნ.) მთავარი ან პირველი მოქმედი პირი (პერსონაჟი) ბერძნულ ტრაგედიაში. თანამედროვე პირობებში გამოიყენება ლიტერატურასა და კინოში მთავარი პერსონაჟის, გმირის აღსანიშნავად. ჩვენ ეს ცნება გარკვეულწილად ირონიული კონტექსტით გვაქვს გამოყენებული.

◎ ჭადრაკი

გვირგვინის მაძიებელთა შორის ოთხი ქართველი დარჩა

სოჭში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც პლანეტის 64 უძლიერესი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაება. შეჯიბრება ნოკაუტსისტემით იმართება ექვს რაუნდად. პირველში მანდილოსნები ორ-ორ კლასიკურ პარტიას თამაშობენ. თუ ეს გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, მაშინ წყვილში უძლიერესს ტაიბრეიკები დაასახელებს. აქ რამდენიმე

რიგია გათვალისწინებული: ჯერ 25-25-წუთიანი პარტიები ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით; თუ საჭირო გახდა – ორ-ორი ათ-ათ და ხუთ-ხუთწუთიანი ბლიცები. ამ შემთხვევაშიც ორ-თაბრძოლის ფრედ დამთავრებისას დაინიშნება „არმაგედონი“ – ყაიმი შავების სასარგებლოდ, სადაც შავებს ეძლევათ 4, თეთრებს კი 5 წუთი.

შეჯიბრებაში არ მონაწილეობს მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი), რომელსაც ქალებისთვის მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების სისტემები (ნოკაუტსისტემა და გრან პრის + მატჩი) გაუმართლებლად მიაჩნია. ფაქტობრივად, მან ტიტულზე ნებაყოფლობით თქვა უარი. სამაგიეროდ, ჩემპიონატში მედლებისთვის იბრძვიან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები – ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ფიდეს რეიტინგით მესამე ნომერი ჰამპი კონერუ (ინდოეთი), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები – ტატიანა კოსინცევა, ვალენტინა გუნინა (ორივე-რუსეთი), პია კრამლინგი (შვედეთი), ევროპის ჩემპიონები – ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ეკატერინა ატალიკი (თურქეთი), ჰოანგ თან თჰანგი (უნგრეთი), რომ არაფერი ვთქვათ გუნდურ მსოფლიოს, ევროპისა და აზიის ჩემპიონებსა და პრიზიორებზე.

წინა ევროპის ჩემპიონატებზე ქალთა მსოფლიოზე თამაშის უფლება შვიდმა ქართველმა დიდოსტატმა მოიპოვა. მათგან ობიექტური მიზეზით (მეორე შვილს ელოდება) სოჭში ვერ გაემგზავრა ნანა ძაგნიძე. დანარჩენმა ექვსმა ჩვენებურმა უკვე მოსინჯა ძალები პირველ წრეში. სტარტზევე იყოჩაღა ბელა ხოტენაშვილმა, რომელმაც თურქ კუბრა ოზთურქს პირველივე ტურში შავებით აჯობა, მეორეში კი თეთრებით ყაიმს დასჯერდა და მეორე წრეში გავიდა, სადაც პირველ რაუნდში ბაირა კოვანოვას (რუსეთი) მძლეველ ჰუან ქიანს (ჩინეთი) დაუპირისპირდება. სალომე მელიას და ინდონეზიელი ირინე ხარიშმა სუკანდარის კლასიკური პარტიები ყაიმით დასრულდა. ასპარეზობის მესამე დღეს ქართველმა მოჭადრაკემ ტაიბრეიკების ორივე 25-წუთიანი პარტია მოიგო და მე-2 წრეში ჩინელ ჟაო სიუესთან გაარკვევს ურთიერთობას. ჩვენებურთაგან ყველაზე ძლიერი მეტოქე ჰყავდა მერი არაბიძეს – გერმანელ ელიზაბეტ პეტცს შეხვდა. მათი პაექრობისას კლასიკური და 25-წუთიანი შეხვედრები ყაიმით დამთავრდა, 10-წუთიან პარტიებში არაბიძემ იმარჯვა და მეორე წრეში კუბელ მარერო ლოპესს ეთამაშება. ამ უკანასკნელმა პირველ წრეში სომეხი ელინა დანიელიანი ჩამოიშორა გზიდან. წილისყრამ, სამწუხაროდ, სტარტზევე დაუპირისპირა ერთმანეთს ორი ქართველი დიდოსტატი – ლელა ჯავახიშვილი და სოფიო გურამიშვილი. მეტოქეებმა თითო კლასიკური პარტია მოიგეს, 25-წუთიანები მშვიდობიანად დაასრულეს, ორი ათწუთიანიდან ერთი ჯავახიშვილმა მოიგო, ერთი ყაიმით დამთავრდა და მომდევნო წრეში ლელა გავიდა, სადაც ჩინელ თან ჟონს გაუწევს მეტოქეობას. გურამიშვილი შეჯიბრებას გამოეთიშა, ისევე, როგორც ეკატერინე კოვალევსკაიასგან (რუსეთი) ძლეული (1.5:0.5) ნინო ხურციძე. მეორე წრეში გავიდა შოტლანდიაში გათხოვილი ჩვენი თანამემამულე ქეთევან არახამია-გრანტიც, რომელიც პია კრამლინგთან გაარკვევს ურთიერთობას. პირველი რაუნდის შემდეგ ჩემპიონატს გვირგვინის 32 მაძიებელი შემორჩა.

ლექსო ციინცაძე

სურათზე: ლელა ჯავახიშვილი (მარცხნივ) და სოფიკო გურამიშვილი.

◎ ჩემპიონთა ლიგა

წილი ნაყარია

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა, რომელმაც გუნდები შემდეგნაირად დააწყვილა:

„პსჟ“ (საფრანგეთი) – „ბარსელონა“ (ესპანეთი),

„ატლეტიკო“ (ესპანეთი) – „რეალი“ (ესპანეთი),

„პორტუ“ (პორტუგალია) – „ბაიერნი“ (გერმანია),

„იუვენტუსი“ (იტალია) – „მონაკო“ (საფრანგეთი).

აღნიშნული ეტაპის შეხვედრები 14-15 და 21-22 აპრილს გაიმართება, 1/2-ფინალური – 5-6 და 12-13 მაისს, ფინალი კი ბერლინში 6 ივნისს ჩატარდება.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

სისტემა მარილაც დასანგრევია

ხშირად გვსმენია, სანამ ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება არ გაუმჯობესდება, საფეხბურთო მიღწევების იმედი არ უნდა გვქონდესო. ამის გამგონი იფიქრებს, სახელმწიფო თავს იკლავს როგორც ეროვნულ ნაკრებზე, ისე კლუბებზე ზრუნვით და, სპონსორების ხელშეწყობის მიუხედავად, უძლურია „ველური კაპიტალიზმის“ ჯუნგლის კანონებს გაუმკლავდესო.

ა, ბატონო, ცინცხალი მაგალითი ასეთი მსჯელობის აბსურდულობისა: სამოქალაქო დაპირისპირების ქარცეცხლში გახვეული უკრაინის ორი კლუბი ევროპის ლიგის მეოთხედფინალში ითამაშებს! დაგვეთანხმებით, თუ დღესდღეობით ვინმეს არ ესპორტება, უპირველესი მათ შორის სწორედ უკრაინაა. თანაც, გასათვალისწინებელია როგორც კიევის „დინამოს“, ისე „დნიპროს“ მეტოქეთა „წონაც“. დიახ, ვერავინ იტყვის, რომ „ევერტონი“ ან, მით უმეტეს, „აიაქსი“, ადვილად დასაძლევი მეტოქენი არიან. მაშ, რაშია საქმე, იკითხავთ ალბათ. პასუხი მარტივია – იქ უკვე კარგა ხანია მიაგნეს ეროვნული საფეხბურთო ორგანიზმის გაძღოლის ოპტიმალურ მოდელს და ფორსმაჟორულ ვითარებაშიც კი მისი ერთგულნი რჩებიან. ჩვენ?! ჩვენ მხოლოდ იმით შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ დნეპროპეტროვსკელთა წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვს „ჯვაროსანთა“ კაპიტანს ჯაბა კანკავას.

ევროპის ლიგა. საპასუხო მერვედფინალური რაუნდი. კიევის „დინამო“ – „ევერტონი“ 5:2 (1:2), „აიაქსი“ – „დნიპრო“ 2:1 (დამატებით დროში, ძირითადი დრო 1:0, 0:1), მოსკოვის „დინამო“ – „ნაპოლი“ 0:0 (1:3), „ტორინო“ – „ზენიტი“ 1:0 (0:2), „რომა“ – „ფიორენტინა“ 0:3 (1:1), „სევილია“ – „ვილიარეალი“ 2:1 (3:1), „ინტერი“ – „ვოლფსბურგი“ 1:2 (1:3), „ბეშიქთაში“ – „ბრიუგე“ 1:3 (1:2).

16 და 23 აპრილს მეოთხედფინალში ითამაშებენ: „სევილია“ – „ზენიტი“, „დნიპრო“ – „ბრიუგე“, კიევის „დინამო“ – „ფიორენტინა“ და „ვოლფსბურგი“ – „ნაპოლი“.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

„ბორჯღალოსანთა“ რიგებში 6 ცვლილებაა

საქართველოს ნაკრები უკვე რამდენიმე დღეა ბუქარესტშია. „ბორჯღალოსნებმა“ გუშინ კაპიტნის ვარჯიში გამართეს და დღეს რუმინეთის ეროვნულ გუნდს „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ ბოლო ტურში დაუპირისპირდებიან.

ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა, რუსებთან მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში ექვსი ცვლილება განახორციელა.

პირველ ხაზში წლეულს პირველად ითამაშებს შერკინების კვაჭი ირაკლი ნატრიაშვილი, რომელიც საკმაოდ გამოცდილია და კარგად იცნობს რუმინულ რაგბის.

მეორე ხაზში ვახტანგ მაისურაძის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს კონსტანტინე მიქაუტაძე. მაისურაძე თადარიგშიც არ არის. მეორე ხაზში მარქაფად ლევან დათუნაშვილია.

შეიცვალა მესამე ხაზიც. ბექა ბიწაძემ სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა. თადარიგშია კიდევ ერთი მესამეხაზელი ლაშა ლომიძე, ძირითადში კი ჰეიგმა გიორგი თხილაიშვილი დააყენა, რომელიც რუსებთან განაცხადში არ იყო. თხილაიშვილი ფლანკერი იქნება, ხოლო შერკინებას მამუკა გორგოძე შეკრავს.

რუსებთან დაშავდა და ვერ ითამაშებს მგეზავი ლაშა ხმალაძე. მის პოზიციას ლაშა მალაღურაძე დაიკავებს. ჰეიგმა შეცვალა აგრეთვე ორივე გარემარბი – გიორგი აფციაურისა და ალექსანდრე ხუციშვილის ნაცვლად რუმინელებს ალექსანდრე თოდუა და თამაზ მჭედლიძე დაუპირისპირდებიან. აფციაური თადარიგშია.

„ვიცით, რომ მძიმე მატჩი გველის, რადგან რუმინეთის ნაკრებს ძალიან ძლიერი და აგრესიული მორკინალები ჰყავს, მაგრამ არც ჩვენი შერკინებაა სუსტი. ამიტომ ეს იქნება ძალისმიერი მატჩი, რომელშიც დაძაბულობა საფინალო სასტვენამდე შენარჩუნდება“, – თქვა ბრძოლის წინ საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა თავკაცმა.

აღსანიშნავია, რომ „სტეჟარისთან“ „ბორჯღალოსნებს“ უკვე დადებითი ბალანსი აქვს – 9 მოგება, 8 წაგება და 1 ფრე. აქედანაც კარგად ჩანს, რომ „მუხის ფოთლები“ ჩვენთვის მძიმე მეტოქეა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მათთან 2010 წლის შემდეგ აღარ წაგვიგია. ბოლოს ბუქარესტში 2013 წელს ვითამაშეთ და მატჩი ფრედ – 9:9 დასრულდა.

საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების დღევანდელი მატჩი თბილისის დროით 16:30 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელეტრანსლაციას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველი არხი განახორციელებს.

სტატისტიკა

18.11.1998 რუმინეთი – საქართველო 27:23,

02.04.2000 საქართველო – რუმინეთი 20:23,

07.04.2001 რუმინეთი – საქართველო 20:31,

06.04.2002 საქართველო – რუმინეთი 23:31,

30.03.2003 საქართველო – რუმინეთი 6:19,

27.03.2004 რუმინეთი – საქართველო 25:18,

12.03.2005 საქართველო – რუმინეთი 20:13,

25.02.2006 რუმინეთი – საქართველო 10:35,

07.10.2006 რუმინეთი – საქართველო 8:20,

03.02.2007 რუმინეთი – საქართველო 20:17,

09.02.2008 საქართველო – რუმინეთი 22:7,

14.03.2009 საქართველო – რუმინეთი 28:23,

13.03.2010 რუმინეთი – საქართველო 22:10

12.03.2011 საქართველო – რუმინეთი 18:11

28.09.201 საქართველო – რუმინეთი 25:9,

10.03.2012 რუმინეთი – საქართველო 13:19,

16.03.2013 რუმინეთი – საქართველო 9:9,

15.03.2014 საქართველო – რუმინეთი 22:9.

საქართველო

15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ვასილ ლობჟანიძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ნემსაძე, 5. კოტე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. გიორგი თხილაიშვილი, 8. მამუკა გორგოძე. 16. ზურაბ ჟვანია, 17. კარლენ ასეიშვილი, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. ლევან დათუნაშვილი, 20. ლაშა ლომიძე, 21. გიორგი ბეგაძე, 22. გიორგი აფციაური, 23. ბექა ბიწაძე.

V ტური

რუმინეთი-საქართველო, რუსეთი-პორტუგალია, ესპანეთი-გერმანია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფრანკოფონიის დღეები

„პარიზი“ — მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

რეზო ადამიას გემოვნებიანი აკორდი

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ეროვნული აკადემია უერთდება და ეხმიანება ფრანკოფონიის დღეებს საქართველოში, რომელიც საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით ხორციელდება. ამ მიზნით აკადემიის დარბაზში ცნობილი ქართველი მხატვრის რეზო ადამიას პერსონალური გამოფენა — „პარიზი“ გაიხსნა, რომელიც ერთ თვეს გასტანს და დამთვალიერებელს პარიზის უბნებში გაასეირნებს, ევროპის გულის ხედებით დაატკბობს. არა უბრალოდ, არამედ გრძნობით, ხალისით, ლამაზი ფერების გამით დამუხტული შეათვალიერებთ ნოტრდამს, გაივლით ნეფის ხიდს, ჩაიხედავთ სენაში და ლუვრს დაინახავთ, თვალს გააყოლებთ ნარინჯისფერ მზის ჩასვლას პარიზში... 75 ტილო ამის სრულ ფუფუნებას მოგცემთ.

რეზო (ემელიანე) ადამიას გამოფენის გახსნაზე მისი შემოქმედების ბევრმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი. შეაფასეს მხატვარი, როგორც შემოქმედი და როგორც ადამიანი, არამარტო ყალმის, არამედ კალმის კარგი მფლობელი, მოაზროვნე და პროზაიკოსი.

აქ გამოფენილი ნახატები მხოლოდ მეოთხედია იმისა, რაც მხატვარმა საფრანგეთში შექმნა. ნამუშევართა დიდი ნაწილი მუზეუმებში, გალერეებში, სხვადასხვა საგამოფენო სივრცესა თუ კერძო კოლექციებშია გამოფენილი. აღსანიშნავია, რომ „თეთრი მთავარანგელოზ მიქაელის“ ხატი სულ ახლახან გადასცა საჩუქრად ბატონმა რეზომ ფრანგ მსახიობ ალენ დელონს საქართველოში ყოფნის დროს.

„ნოტრდამის დასავლეთით, ძველისძველ პარიზულ კაფეში ვზივარ და თაფლისფერ ფრანგულ ლუდს შევექცევი. ჩემ წინ ათიოდე მეტრის დაშორებით აღმართულია ქანდაკებათა, ორნამენტთა და გეომეტრიულ სხვადასხვა ფორმათა ათასგვარი ვარიაცია, უსაზღვრო ფანტაზია და რა საოცრებაა: ამ უძველესი ტაძრის კედელთა სიბრტყეზე XX საუკუნის სიურრეალიზმის სულიც ტრიალებს. გონების და ფანტაზიის სრული სახოვნებაა ჩადებული ნოტრდამში. ვუმზერ აღტაცებული, გაოგნებულია...“ — წერს ერთგან მხატვარი. პოეტი ვაჟა ეგრისელი ამბობს: „მე სამეგრელოში წელიწადში ერთხელ თუ ვახერხებ ჩასვლას. რეზო კი პარიზში მიდი-მოდის, იმდენი მოწვევა აქვს საფრანგეთიდან. ეს

კი იმის დასტურია, რომ ის დიდი მხატვარია“.

მართლაც, იმის მიუხედავად, რომ რეზო ადამია სულით ხორცამდე ქართველია, კოლხია, რომელიც მის შემოქმედებაში ძალუმად იჩენს თავს, მისი ნახატები მსოფლიო კულტურის ჭრილში უნდა განვიხილოთ. მთელი სერიები აქვს მიძღვნილი მხატვარს კოლხეთისთვის: პეიზაჟები, ნატურმორტები, ასეთივე განსაკუთრებულობით აქვს დანახული გალაკტიონის, ტერენტი გრანელის შემოქმედება. მათი სულის უხილავი გამოძახილი აქვს გადმოცემული ფერებში... მაგრამ „პარიზი“ — ეს უკვე ქართველი ხელოვანის თვალით დანახული ევროპაა. ამ სურათებს ათწლეულზე მეტხანს ქმნიდა მხატვარი სასოებით, რუდუნებით, პატივისცემით ყოველგვარი ღირებულის, დასანახავისა და დასაფასებლის პატივისცემით და, რაც მთავარია, სიყვარულით.

გამოფენის გახსნაზე ასეთი აზრი გახმიანდა: რეზოს უფრო მეტი დაფასება სჭირდება ქართველი ხალხისგანო... ასეცაა. ნიკო ფიროსმანიშვილი იკითხავდა, თურმე, ნეტა, პარიზში თუ მიცნობენო?.. პარიზში იცნობენ და აღიარებენ ფიროსმანს, მაგრამ ასეთივე მოწიწებით ეპყრობიან ჩვენს ქართველ თანამედროვე ხელოვანსაც, რაც ყოველი ქართველისთვის საამაყოა.

ფრანკოფონიის დღეები — ეს ფრანგული კულტურის ზეიმია, დატვირთული ფრანგული ლიტერატურული საღამოებით, ფრანგი მწერლების ლექციების კურსით, კინოჩვენებებით, ფრანგული კერძების დაგემოვნებით... რეზო ადამიას „პარიზიც“ ამ დღეების ერთ-ერთი გემოვნებიანი აკორდია...

თეა მოსია

თბილისის პირველი საშუალო სკოლის 1956 წლის გამოშვების თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება და დიდი მეცნიერი, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი

დავით გორდეზიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გივი კახეთელიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი, კეთილშობილი პიროვნება

დავით გორდეზიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჰამლეტ მელაძე, ნუგზარ სხირტლაძე, თინა დავითაშვილი, რუსუდან შონია ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრისა და კოლეგის, ცნობილი მეცნიერის, პროფესორ

დავით გორდეზიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ რა ხდება ფერეიდანში?

„ქართული ანბანის“ ძეგლი დაჩეხეს და გადააგდეს

სპარსულად ფერეიდუნშაჰრი, ანუ ქართულად მარტყოფი ქალაქია ირანში, ისფაჰანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში. სწორედ ამ ქალაქის მთავარ მოედანზე ფერეიდნელი ქართველების მიერ დადგმული „ქართული ანბანის“ ძეგლი უკვე აღებულია.

მოვლენები ფერეიდნის ქართველებით დასახლებულ ნაწილში დრამატულად ვითარდებოდა. გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია **„ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ზვიად ტომარაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ირანში, ფერეიდნელმა ქართველებმა ფერეიდუნშაჰრის მთავარ მოედანზე „ქართული ანბანის“ ძეგლი დადგეს.**

ტომარაძის განმარტებით, **ირანელების წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველები ძეგლს მთელი ღამე ყარაულობდნენ, რადგან ეჭვობდნენ, რომ ირანის უშიშროება ძეგლს დაანგრევდა.** ძეგლის დაცვის მოთხოვნით, ზვიად ტომარაძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართავდა, ყველაფერი გაეკეთებინათ ფერეიდნელი ქართველების დასაცავად.

ამ თემასთან დაკავშირებით, **ფერეიდნელი ქართველი ანდრო ნაგელიანი იტყობინებოდა, რომ მთელ ქალაქში უშიშროების თანამშრომლები იყვნენ, მთელი ქალაქი ფეხზე იდგა და ფერეიდნელი ქართველები საკუთარი ქართველობის დასაცავად მზად იყვნენ.**

„ქართული ანბანის“ ძეგლის აღმართვას ხომ არ მოჰყვება ფერეიდნელ ქართველებზე ანგარიშსწორება ირანის ხელისუფლების მხრიდან? რატომ განიზრახეს ქართველებმა ამ სარისკო ნაბიჯის გადადგმა? ხომ არ იყო ეს პროვოკაცია, თუ ყველაფერი ისევ და ისევ ქართული სისხლის ყივილს უნდა დავუკავშიროთ?

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი ტარიელ ფუტკარაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ირანში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველების მთავარი დასახლებაა მარტყოფი, ანუ ფერეიდუნშაჰრი, სადაც ძალიან ბევრი, 15 ათასამდე ფერეიდნელი ქართველი სახლობს. მთლიანობაში, ფერეიდანში 200 სოფელია, მაგრამ აქედან მხოლოდ შვიდია ქართული სოფელი და სწორედ ამ შვიდ დასახლებას შორის ყველაზე მრავალრიცხოვნად ითვლება მარტყოფი.

ასე რომ, ფერეიდუნშაჰრის მერიის ქართველმა თანამშრომლებმა ალაჰის ძეგლის აღმართვა მოისურვეს, ოღონდ — ქართული ასოებით. ძეგლი 15-მეტრის სიმაღლის ლითონის კონსტრუქცია იყო, სადაც დაფიქსირებული იყო მათი ღმერთის სახელი, რა თქმა უნდა, ქართული ასოებით.

„აქ კოდირებული იყო მათი ახლანდელი რწმენა, ისლამის მიხედვით მათი ღმერთი და ეს ყველაფერი ქართული ასოებით გამოხატეს, რაც მათი გენეტიკური სიმბოლოს გამოვლინება იყო. სახელისუფლო სტრუქტურების ერთი ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, გუშინ ღამე ამ ძეგლის აღმართვა მაინც შეძლეს, თუმცა, სულ რაღაც ორ საათში ეს ძეგლი ბახტიარების ჯგუფმა დაშალა. შესაძლოა, ეს ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით ან სტიმულირებით მოხდა. ამას ფერეიდანში დემონსტრაცია მოჰყვა, რომლის მთავარი ლოზუნგიც იყო „ალაჰი ერთია“, „დედაენას გაუმარჯოს“, „სულიერო ლიდერო, დაგვეხმარე“... ასე მიმართავდნენ ფერეიდნელი ქართველები ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს, ვინაიდან ძეგლზე სიტყვა ალაჰი ეწერა იქ და სწორედ ეს ალაჰისწარწერიანი ძეგლი დაჩეხეს და გადააგდეს.

ჩემი ინფორმაციით, ფერეიდუნშაჰრში დღეს ჩასულია ირანის სპეციალური დანიშნულების რაზმი, რათა მომხდარს გართულება არ მოჰყვეს, ვინაიდან ქალაქში ცხოვრობენ როგორც ქართველები, ასევე, ბახტიარები. შექმნილი დაძაბულობა ცუდია, ალბათ, აჯობებდა, ფერეიდნელ ქართველებს შესაბამისი სამსახურებიდან აეღოთ ნებართვა, ან კიდევ, ძეგლი თუ დაიდგმებოდა, მერე არავის მოეხსნა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ახლა მთავარია, ამას გართულება არ მოჰყვეს. იმედი მაქვს, ირანის ხელისუფლება და ირანის ყველა ლიდერი, ამ სიტუაციას ისე დაალაგებს, რომ არც ქართველების ღირსება შეილახება და არც ვინმეს რელიგიური უფლება. ასევე, აუცილებელია, დაბალანსებული გამოხმაურება საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან, რათა სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში არ ჩავერიოთ, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენი დიასპორაც დავიცვათ“, — აცხადებს ტარიელ ფუტკარაძე, რომელიც პარალელურად საქართველოს დიასპორის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრიცაა.

ამასთან, ტარიელ ფუტკარაძე არ ფიქრობს, რომ რელიგიური გრძნობის გამოვლენისა და სისხლის ყივილისთვის ქართველებს ვინმე დასჯის, მით უმეტეს, უფრო მეტი ქართული წარწერებია ფერეიდუნშაჰრის ქუჩებში, ვიდრე საქართველოს ზოგიერთ ქართულ ქალაქში. მისი აზრით, ძეგლის აღმართვა არ იყო პროვოკაცია და ეს ემოციური გადაწყვეტილება, ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენა იყო. თუმცა, იმის გამო, რომ ფერეიდანში მოვლენები შეიძლება მძიმედ განვითარდეს, ფერეიდნელმა ქართველებმა დღეს დაგეგმილი ახალი დემონსტრაცია გააუქმეს.

„კერძო სწავლების სახით, ფერეიდანში ქართულის სწავლა ყველას შეუძლია. ფერეიდანში არის ქართულენოვანი წარწერები და, თუ რომელიმე სხვა ენას, სპარსულის გარდა, ხელშეწყობა აქვს ირანში, ეს ქართული ენაა“, — აცხადებს ტარიელ ფუტკარაძე.

ორგანიზაცია „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე For.ge-სთან საუბარში არ გამორიცხავს, რომ ირანში „ქართული ანბანის“ ძეგლის აღმართვა ან პროვოკაცია იყო, ან ქართველების სისხლის ყივილი. თუმცა, თუკი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამან შეიძლება, დაძაბოს ურთიერთობა იქაურ ქართველებსა და ირანელებს შორის.

„არ ვიცი, რამდენად იყო საჭირო ამ ძეგლის აღმართვა და ვის ინტერესებში შედიოდა. ჩემი აზრით, ქართველებს ძეგლის დადგმა უნდა შეეთანხმებინათ ირანის ხელისუფლებასთან და უნდა გაეთვალათ, რომ ასე უნებართვოდ ძეგლის დადგმას არავინ დაუშვებდა. სიტუაციაში გაურკვეველი პიროვნებები მონაწილეობდნენ. არ ვფლობ ინფორმაციას, მოხდა თუ არა ძეგლის აღებისას დაპირისპირება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, სახელმძღვანელოებით და სხვადასხვა აქციით დავეხმაროთ ფერეიდნელ ქართველებს. შესაძლებელია, ირანელებთან დალაპარაკებაც, რომ ფერეიდნელებს მშობლიურ ენაზე სწავლება შეეძლოთ. თუ ამის მერეც შეიქმნება პრობლემები, ეს უკვე განსჯის საგანი იქნება. ბევრმა გამოთქვა სურვილი, დაეხმაროს ფერეიდნელ ქართველებს, მათ შორის, კომპანია „იბერია ბიზნესჯგუფმა“, ასევე, საკრებულოს წევრი სოსო მანჯავიძეც დაგვპირდა, რომ საკრებულოში იმსჯელებენ, თუ რა ფორმით დაეხმარებიან ფერეიდნელებს. საქმეში ჩაერთვება განათლების სამინისტროც“, — აღნიშნა ზვიად ტომარაძემ.

მანანა ნოზაძე

◎ სულიერება

იოანე ხახულელი - ოქროპირად წოდებული და იოანე სინაელი - დიდმარხვის მე-4 კვირიაკეს მოხსენიებული წმინდანნი

22 მარტს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია მოიხსენიებს იოანე სინაელს („კლეტმაქსს“), კიბის აღმწერელს.

...თავის თხზულებაში „კიბე“ იოანე სინაელი მოგვითხრობს სამონაზვნო ცხოვრების შესახებ, ჭეშმარიტი უბიწო ცხოვრების კეთილისმყოფელ მხარეებზე, რომელიც ქრისტიანული ცხოვრების სრულყოფილების იდეას წარმოადგენს. ეს ნაწარმოები ქართულად სამჯერ უთარგმნიათ, აი, რას ვკითხულობთ „კიბეში“: „მცირედთ თუ ძალუძთ შეაკავონ წყალი კაშხალის გარეშე; და უფრო მცირედნი არიან ისეთნი, რომელთაც ძალუძთ დაადუმონ თავშეუკავებელი ბაგენი“.

* * *

23 მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს (დღეს უკვე, თურქეთის ტერიტორიაზე სამუზეუმო ექსპონატად ქცეულ) ხახულის მონასტერში მოღვაწე ქართველს — ღირს იოანე (მჭევრმეტყველს, ოქროპირს) ხახულელს.

...სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ღირსი იოანეს ხელი დაასხეს ჯერ ბოლნისის, შემდეგ კი ხახულის ეპისკოპოსად.

დაახლოებით 1019 წელს ღირსმა იოანე ოქროპირმა, ხახულელმა ხახულის მონასტერს თავი დაანება და ათონის მთას მიაშურა.

იოანე ხახულელის ზედწოდება „ოქროპირი“ და მის მიერ „ნუგეშინისმცემლად ქართუელთა“ დაწერილი წიგნები ნათლად მეტყველებს წმინდანის სარწმუნოებაზე, განათლებასა და მამულიშვილობაზე...

საქართველოს ეკლესია მეოხებას ითხოვს იოანე ხახულელისაგან.

გიული ლიპარტია

◎ კადრი

სკანვორდი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ძერა ლამაზმანი ზის და ცრემლებად იღვრება.
— რა გჭირთ? — ეკითხება გამვლელი.
— ტყუპები დავბადე.
— მერე რა არის ამაში სატირალი?
— პირველი ჩემი ქმრისგან მყავს, მაგრამ მეორე ვისია?

* * *

— **საინტერესოა**, ვინმეს რომ ყალბი დოლარები მივცე ქრთამად, ეს ქრთამი იქნება თუ არა?
— არა, ეს შუარცხყოფა იქნება.

* * *

— **მომიტანე**, ჩემო კარგო, 100 გრამი არაყი გამბედაობისთვის, — ეუბნება ტიპი ოფიციანტს.
მოუტანეს. გადაჰკრა.
— ცოტაა, კიდევ მომიტანე!
— გამბედაობა რისთვის გჭირდებათ? — ეკითხება ოფიციანტი მესამე სირჩის შემდეგ.
— იმის სათქმელად, რომ ფული არა მაქვს.

* * *

— **სახლში** მზარეული გყავთ?
— კი.
— მოსამსახურე?
— კი.
— მებაღე?
— მებაღეც.
— ოო, თქვენ მდიდარი კაცი ყოფილხართ.
— არა, რას ამბობთ, უბრალოდ ჩვენს მრავალბინიან სახლში სხვადასხვა პროფესიის ხალხი ცხოვრობს.

* * *

— **მამის**, მამი, რა არის ორცოლიანობა?
— როდესაც კაცს ერთი ზედმეტი ცოლი ჰყავს.
— ერთცოლიანობა?
— ესეც იგივეა, შვილო.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24